# ელვა

თფილისი

ოთხშაბათი, 22 (4) მარტი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ელვა“ წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თერთმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 9 — ყოველ-დღიური გაზეთი. — № 9


გაზეთი „ელვა“ მევაზეთეებმა **უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ,** როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და **სახალხო მატარებლებშიაც.**

ამ წლის **12** მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ელვა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მევაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.
**რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.**

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.

### რედაქციისაგან.

რედაქცია თხოვს ბბ-ნ ხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით გვიან მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომელთანაც გაზეთი ნომრობით იყიდება და ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: **ქუთაისში**—ამხ. „კოლხიდა“. **ბათომში**—მიხ. კალანდაძე, **ფოთში**—იოსებ კოხრეიძე, **ოზურგეთში**—მისე ტუღუში, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **გორში**—არჩუაძე, **ჭიათურაში**—გლად. მოსეშვილი, **ზესტაფონში**—ევ. საყვარელიძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე.

---

**შალვა, სიმონ, კლემენტი, კოკი, ანიჩკა, ქსენია, თამარა და ეკატერინა ცინცაძეები** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—ძვირფასი დედის

**საშა (ალექსანდრა) სიმონ წერეთლის ასულის ცინცაძისა,**

რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია ამა თვის 21-ს სოფ. ლანჩხუთში.

---

## აგრარული კითხვა.

### II

ჩვენ ვნახეთ, რომ სოფლის დღევანდელი მოძრაობა—ეს გლეხთა განთავისუფლების მოძრაობაა, ვნახეთ აგრეთვე, რომ გლეხთა განთავისუფლებისთვის ბატონყმური ნაშთების მოსპობაა საჭირო, ხოლო ამ ნაშთების მოსასპობათ საჭიროა მემამულეებსა და მთავრობას აერთვას მთელი მიწები, რომ გზა გაეწმინდოს ახალ ცხოვრებას, ბურჟუა-ფერმერულ ცხოვრებას.

ვთქვათ ყველა ეს შესრულდა. როგორ უნდა განაწილდეს შემდეგ ეს მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებათ?

ერთნი ამბობენ, რომ ართმეული მიწები სოფელს უნდა გადაეცეს საერთო საკუთრებათ, დღესვე უნდა მოისპოს მიწაზე კერძო საკუთრება და, ასე, სოფელი უნდა გახდეს მიწების ბატონ-პატრონი, შემდეგ თითონ სოფელი დაურიგებს გლეხებს თანასწორ „ნადელებს“ და, ამგვარათ, დღესვე განხორციელდება სოფელში სოციალიზმი—დაქირავებული შრომის მაგიერ მიწის თანასწორათ სარგებლობა დამყარდებაო. ამას ჰქვიან „მიწის სოციალიზაცია“ გვეუბნებიან სოციალ-რევოლიუციონერები.

მისაღებია თუ არა ეს აზრი? ჩაუკვირდეთ საქმეს. დავიწყოთ იქიდან, რომ სოციალ-რევოლიუციონერებს სოფლიდან უნდათ დაიწყონ სოციალიზმის განხორციელება. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ქალაქი სოფლის ბელადია და, მაშასადამე, ყველა სოციალისტური საქმე ქალაქიდან უნდა იწყებოდეს. სოციალ-რევოლიუციონერებს კი უნდათ სოფელი გახადონ ქალაქის მეთაურათ და მას დააწყებინონ სოციალიზმის განხორციელება, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. აქედანვე ეტყობა, რომ მათი „სოციალიზმი“ უდღეური სოციალიზმი იქნება. გადავიდეთ ახლა იმაზე, რომ მათ უნდათ დღესვე განახორციელონ სოფელში სოციალიზმი. სოციალიზმის განხორციელება—ეს საქონლის წარმოების მოსპობა, ფულის მეურნეობის გაუქმება, კაპიტალიზმის ძირიანათ დანგრევა და ყველა საწარმოვო იარაღების განსაზოგადოება, სოციალ-რევოლიუციონერებს კი უნდათ ყველა ეს ხელუხლებლათ დასტოვონ და მარტო მიწა განსაზოგადონ, რაც ყოვლად შეუძლებელია: თუ საქონლის წარმოება შეურყევლათ დარჩება, მაშინ მიწაც საქონლის სახეს მიიღებს, დღეს-ხვალ ბაზარზე ამოყოფს თავს და სოციალ-რევოლიუციონერების „სოციალიზმი“ ჰაერში გაფრინდება. ცხადია, მათ უნდათ კაპიტალიზმის ფარგლებში განახორციელონ სოციალიზმი, ეს კი ძირიანათ ეწინააღმდეგება სოციალიზმს. ამიტომ ამბობენ, რომ სოციალ-რევოლიუციონერების „სოციალიზმი“ ბურჟუაზიული სოციალიზმიაო. რაც შეეხება მიწის თანასწორ სარგებლობას, უნდა შევამჩნიოთ, რომ ეს ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. მიწის თანასწორ სარგებლობას თანასწორი შეძლება ესაჭიროება, გლეხებში კი ამ მხრივ მაღალ-დაბლობა არსებობს, რომელსაც ვერ მოსპობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლიუცია—რა საფიქრებელია, რომ რვა ულის პატრონმა მეოჯახემ იმდენათვე ისარგებლოს მიწებით, რამდენათაც უხარომ? სოციალ-რევოლიუციონერებს კი გონიათ, რომ „თანასწორი სარგებლობით“ მოისპობა დაქირავებული შრომა და კაპიტალის განვითარებას ბოლო მოეღებაო, რაც პირდაპირ შეუძლებელია. ცხადია, სოციალ-რევოლიუციონერებს უნდათ კაპიტალიზმის განვითარებას შეებრძოლონ და ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაატრიალონ, ამაში ხედავენ ისინი ხსნას. მეცნიერება კი ამბობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალის განვითარებაზეა დამოკიდებული და ვინც ამ განვითარებას ებრძვის, ის სოციალიზმს ებრძვისო. ამიტომაა, რომ სოციალ-რევოლიუციონერებს სხვანაირათ სოციალ-რეაქციონერებს უწოდებენ. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გლეხებს ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე უნდათ ებრძოლონ ფეოდალურ საკუთრებას, მათ კერძო საკუთრებათ უნდათ გაინაწილონ ართმეული მიწები და „მიწის სოციალიზაციით“ არ დაკმაყოფილდებიან.

როგორც ხედავთ, „მიწის სოციალიზაცია“ მისაღები არ ყოფილა.

მეორენი ამბობენ, რომ ართმეული მიწები დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს, გლეხები კი მხოლოდ მისი არენდატორები იქნებიანო. ამას „მიწის ნაციონალიზაციას“ ეძახიან.

მისაღებია თუ არა ეს აზრი? თუ სახეში მივიღებთ, რომ მომავალი სახელმწიფო, რაც უნდა დემოკრატიული იყოს, მაინც ბურჟუაზიული იქნება; რომ ამისთანა სახელმწიფოზე მიწების გადაცემას ბურჟუაზიის პოლიტიკური გაძლიერება მოყვება, რაც დიდათ საზარალოა სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატისათვის; თუ სახეში მივიღებთ აგრეთვე იმას, რომ თითონ გლეხებიც წინააღმდეგი გახდებიან „მიწის ნაციონალიზაციის“ და მარტო არენდატორობას არ დაკმაყოფილდებიან,—მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ არც „მიწის ნაციონალიზაცია“ ეხამება დღევანდელი მოძრაობის ინტერესებს.

როგორც ხედავთ, არც „მიწის ნაციონალიზაცია“ ყოფილა მისაღები.

მესამენი ამბობენ, რომ მიწები ადგილობრივ თვითმართველობას უნდა გადაეცეს საკუთრებათ, გლეხები მისი არენდატორები იქნებიანო. ამას „მიწის მუნიციპალიზაციას“ ეძახიან.

მისაღებია თუ არა ეს აზრი? რას ნიშნავს „მიწის მუნიციპალიზაცია“? ეს, ყველაზე პირველად, იმასა ნიშნავს, რომ გლეხებს საკუთრებათ არ გადაეცემათ ის მიწები, რომლებსაც ბრძოლის დროს ართმევენ მემამულეებსა და მთავრობას. როგორ შეხედავენ ამას გლეხები? გლეხებს მიწების დასაკუთრება უნდათ, გლეხებს ართმეული მიწების დაყოფა უნდათ, ისინი სიზმარშიაც კი ხედავენ ამ მიწებს, როგორც თავიანთ საკუთრებას, და როცა მათ ეტყვიან, რომ მიწები თქვენ კი არა, თვითმართველობას უნდა გადაეცესო,—გლეხები, უეჭველია, არ დაეთანხმებიან „მუნიციპალიზაციის“ მომხრეებს და ლალატს შესწამებენ მათ. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ. გარდა ამისა, რა ვუყოთ, თუ რევოლიუციით გატაცებული გლეხები დაისაკუთრებენ ყველა ართმეულ მიწებს და თვითმართველობას [illegible] დასტოვებენ? წინ ხომ არ გადავეღობებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ეს მიწები თვითმართველობას უნდა გადაეცეს და არა თქვენ,, არენდატორობაც გეყოფათო! ეს ხომ რეაქციონერობა იქნებოდა! მეორეთ, „მუნიციპალიზაციის“ მიღება იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ დღესვე უნდა გავიტანოთ ხალხში ეს ლოზუნგი და დღესვე უნდა აუხსნათ გლეხებს, რომ ის მიწები, რომლისთვისაც ისინი იბრძვიან, რომლის ხელში ჩაგდებაც მათ უნდათ,—თვითმართველობას გადაეცემა საკუთრებათ, და არა გლეხებს. რა თქმა უნდა თუ პარტიას დიდი გავლენა აქვს გლეხებზე, მაშინ, შეიძლება, დაეთანხმონ მას, მაგრამ ლაპარაკი არ უნდა, რომ წინანდელი გატაცებით აღარ იბრძოლებენ, რაც დიდათ საზარალო იქნება დღევანდელი რევოლიუციისთვის. მაშინ როდესაც პარტია მაღლა და მაღლა უნდა სწევდეს ხალხის რევოლიუციონურ სულს, არა თუ ანელებდეს და ძარღვებში წყვეტავდეს მას. ხოლო თუ პარტიას დიდი გავლენა არა აქვს გლეხებზე, მაშინ მას განზე გაუდგებიან და ზურგს შეაქცევენ, რაც კონფლიკტს გამოიწვევს გლეხებსა და პარტიის შორის, შესამჩნევათ შეასუსტებს რევოლიუციის ძალებს. გვეტყვიან: ხშირათ გლეხების სურვილები ძირიანათ ეწინააღმდეგება ცხოვრების მიმდინარეობას, ჩვენ არ შეგვიძლია ისტორიის მსვლელობას თავი მივანებოთ და მუდამ გლეხების სურვილებს გავყვეთ, პარტიას თავისი პრინციპები უნდა ქონდესო. სრული ჭეშმარიტებაა! პარტია თავისი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს. მაგრამ პრინციპების მოღალატე იქნებოდა ის პარტია, რომელიც გლეხების ყოველგვარ სურვილებს უარყოფდა. თუ გლეხების სურვილები—მიწების დასაკუთრება და მათი დაყოფა არ ეწინააღმდეგება ისტორიის მიმდინარეობას, თუ ეს სურვილები, პირიქით სავსებით გამომდინარეობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლიუციიდან, თუ ფეოდალურ საკუთრებასთან მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე შეიძლება ნამდვილი ბრძოლა, თუ გლეხების სურვილებიც სწორეთ ამას ღაღადებს, მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ პარტია ვერ უარყოფს ამ სურვილებს, ვინაიდან ამ სურვილების უარყოფა რევოლიუციის მსვლელობის უარყოფა იქნებოდა. პირიქით, თუ პარტიას პრინციპი აქვს, თუ მას არ უნდა რევოლიუციის მუხრუჭათ გადიქცეს, მან ხელი უნდა შეუწყოს გლეხთა ამნაირი სურვილების განხორციელებას. ეს სურვილები კი ძირიანათ ეწინააღმდეგება „მიწის მუნიციპალიზაციას!“.

როგორც ხედავთ, არც „მიწის მუნიციპალიზაცია“ ყოფილა მისაღები.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, იკითხავს მკითხველი, ვის უნდა გადაეცეს ართმეული მიწები?

ი. ბესოშვილი.

---

## ლიბერალური ჩმახვა

რევოლიუციონურ დროს ხალხის ფსიხოლოგიის დამახასიათებელი თვისება სულიერი აღფრთოვანებაა. ჩვეულებრივი მომაკვდავნი გასაოცარ ენერგიას იჩენენ, გმირულ ვაჟკაცობას ეძლევიან; ხალხი მაშინ გულ-გონების წარმტაცი გოლიათია, და ეს აგრეც უნდა იყოს. რევოლიუცია უკანასკნელი ბუნებრივი პროცესის ნაყოფია, ცხოვრების ღვიძლი შვილია და არა ივანესა თუ პეტრესაგან მოგონილი, ცხადია ხალხის სულიერი აღფრთოვანება, ენერგია **არ ჩაქრება,** ვიდრე რევოლიუცია არ განახორციელებს თავის მიზანს. რევოლიუციის „გაკეთება“ კი—როგორც ამბობდა ლასალი—არ შეიძლება, იგი მუდამ ბუნებრივია.

ასეთივეა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა (რევოლიუცია). ყველასათვის აშკარაა, რომ ეს არ არის ხელოვნურათ გამოწვეული, აგიტატორებისაგან „გაკეთებული“ რუსეთის იმპერია ვერ [illegible] ციხე-საპყრობილეების უქონლობას. მოგეხსენებათ ამ მოძრაობის მთავარი მიზანია ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დამხობა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხალხისათვის გადაცემა. მოგეხსენებათ ისიც, რომ ეს მიზანი ჯერ არ არის განხორციელებული. მაშ რევოლიუცია ჯერ არ ყოფილა გათავებული. და აშკარაა, რომ ხალხმა, რომელმაც გადალახა უძნელესი ნაბიჯი, უკვე საბოლოოთ შეანგრია თვითმპყრობელობის საძირკველი. ხალხი, რომელმაც უკვე გადაიარა რუბიკონი, ის ვერ გაჩერდება შუა გზაზე, ვერც უკან მობრუნდება. მან დაწყებული უნდა დააბოლოვოს. მას უნდა შესწევდეს საამისო ენერგია, სულის სიმტკიცე, აღფრთოვანება. ეს თავისთავათ ცხადია, ეს ბუნებრივი აუცილებლობაა.

მაგრამ რევოლიუციას დასაწყისიდანვე თან სდევენ ერთი ჯურის ადამიანები. ესენი თანაუგრძნობენ რევოლიუციას, მარა თავიდანვე ბრძოლის გარეშე დგანან. უმეტეს ნაწილათ ესენი ლაღი ცხოვრების ნებიერი შვილები არიან და რა თქმა უნდა ვერ უძლებენ ბრძოლის სურათების ცქერას. გულის კანკალით ელიან, რომ მოსახდენი მალე მოხდეს, მზათ არიან შეურიგდენ ყველაფერს, ოღონდ კი რაც შეიძლება მალე გათავდეს ცხოვრების საშინელი ალიაქოთი. რეაქციის ყოველსავე ძლიერ ამოქმედებაზე, ისინი ბეჯითათ აცხადებენ, რომ ბრძოლა უკვე გათავდა, რევოლიუცია დასრულდა, ჩვენი ვალია შევურიგდეთ იმას, რაც არის, რაც მოვიპოვეთო. ამასთანავე იწყებენ რევოლიუციონურ პარტიებზე მოთქმა-გოდებას, მათი ტაქტიკა ეჩვენებათ სრულ უაზრობათ. ყოველსავე საშუალებას ხმარობენ რევოლიუციონურ პარტიას აბრუ გაუტეხონ, მისი სახელი ტალახში ამოსვარონ და ამნაირათ მას ხალხი ჩამოაშორონ, მით ბრძოლა შეაჩერონ.

ამგვარათ მოხსენებული ჯურის ადამიანები მართალია სუბიექტივურათ თანაუგრძნობენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, მარა ფაქტიურათ კი ბეჯითი თანამშრომელნი არიან რეაქციისა. თუ ეს ადამიანები პუბლიცისტის ხელობას ადგანან, მაშინ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვთ, თავიანთ სულის კვეთება, და საკუთარ ფსიხოლოგიას ხალხის საერთო ფსიხოლოგიათ ასაღებენ. ამ ადამიანების ფსიხოლოგიის დამახასიათებელი თვისება კი, რა თქმა უნდა, არის ლაჩრობა, ხნეობრივი დაძაბუნება, სულით დაცემა.

აი ამ ჯურის მატარებელია ქართული კვირეული გაზეთი „ივერია“.

პირველსავე ნომერში გაზეთის რედაქტორმა გვაუწყა: „თავის მოტყუება იქნება ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იყოს განახლება იმ სულიერ აღფრთოვანებისა და რევოლიუციონურ მისწრაფებისა, რომელიც განიცადა თითქმის მთელმა ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელ წელიწადში“. და ამას ასაბუთებს კიდეც ფილოსოფოსი: „რუსეთში რევოლიუცია, ჩვენის აზრით, კარგა ხნით დამარცხებულიაო“. მაშ რაღა დაგვრჩენია? ის, რომ გულ-ხელი დავიკრიფოთ და მთელი ხსნება სახელმწიფო სათათბიროში გადავიტანოთო.

3-რველ ნომერში „ივერია“ აცხადებდა, რომ მთელი პოლიტიკური საქმიანობა ამიერიდან იწარმოებს „მოსალოდნელ ლიბერალურ სახელმწიფო წესწყობილების ფარგლებშიო“, და რაკი სახალხო ბრძოლას უარყოფდა ჩვენ გვეგონა „ივერია“ ლიბერალურ წესწყობილებას ელოდა ზეციდან. მაგრამ მესამე ნომრიდან ვეტყობილობთ, რომ ლიბერალური წესწყობილება უკვე განხორციელებული ყოფილა. ეს წყობილება გახლავთ სახელმწიფო „დუმა“. ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, რომელიც „მიუდგომლათ უყურებს და წინასწარ განზრახვის გავლენით არ არკვევს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას“ გადაჭრით აცხადებს: არა თუ სოციალდემოკრატიის პოლიტიკური იდეალები ფუჭი ოცნებაა, „არამედ დემოკრატიულ მონარქიის დასამყარებლათაც კი საკმაო რეალური ძალა არ მოიპოვება“. ამიტომ ბ-ნ გოგიჩაიშვილის აზრით განმათავისუფლებელ მოძრაობის უკანასკნელი და საბოლოო სიტყვა არის 20 თებერ. უმაღლესი აქტები. შესაძლებელია შეიცვალოს „კონსტიტუციის ელფერი“ ძირითადი კანონები კი ხელ-შეუხებელი დარჩებაო.

მაგრამ ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ 20 თებერვლის აქტებს სასტიკათ გმობენ ყველა მოქმედი პარტიები და თვით უკიდურესი მემარჯვენე „17 ოქტომბრის კავშირი“ თხოვს, რომ იგი შეთანხმებულ იქმნას 17 ოქტომბრის მანიფესტთან.

რაკი „მიუდგომელ მეთვალყურემ“ შეიტყო, რომ დემოკრატიულ მონარქიის დასამყარებლათაც კი არ მოიპოვება რეალური ძალა, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მთელი სახელმწიფოს ბედ-იღბალი, მთელი პოლიტიკური საკითხი სავსებით დამოკიდებულია „რუსეთის პირველ პარლამენტზე“ (იგულისხმე 27 აპრილის „დუმა“) და „ამ საკითხის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა, **კონსტიტუციის ელ-ფერის ბედ-იღბალი** სათათბიროს წევრების პარტიულ ძალთა განწყობილებაზე არის დამოკიდებული“. ბ-ნი გოგიჩაიშვილი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს „პარლამენტის“ გარეშე არსებულ პოლიტიკურ ბრძოლას, მისთვის საკმაოა მხოლოდ დეპუტატების არჩევა. ამ რიგათ იგი ამჟღავნებს თავის პოლიტიკურ უსუსურობას, პოლიტიკურ ანბანის სრულ უვიცობას. თვით მშვიდობიან დროსაც კი, კონსტიტუციონურ ქვეყნებში პარლამენტი არასოდეს ხალხისგან დამოკიდებული დაწესებულება არ არის. პირიქით, მთელი მისი აგებულება, საქმიანობა დამოკიდებულია მის (პარლამენტის) კედლებს გარეთ არსებულ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაზე, ე. ი. თვითონ ხალხის სიცოცხლესა და შემოქმედებაზე. ჩვენი ფილოსოფოსი გვასწავლის, რომ რუსეთის იმპერიის ბედ-იღბალი დამოკიდებულია ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისაგან მოგონილ სახელმწიფო „დუმაზე“, რომ ამის გადაწყვეტილება იმპერიის ხალხმა ყრუ მუნჯივით უნდა მიიღოსო. რატომ უნდა მოხდეს ასე? ამ საიდუმლოების გასაღები ხელთ უპყრია ბ-ნ გოგიჩაიშვილს და ეს გასაღები უნდა იყოს ალბათ ის გარემოება, რომ ჩვენი ფილოსოფოსის აზრით ხალხს

უკვე გაუწყდა სიცოცხლის ძარღვი, რუსეთის იმპერიის ხალხი ჩაკვდა, ჩაიფუფქა, ის აღარ არსებობს.

„ივერია“ რომ ხალხის პსიხოლოგიის გამომხატველი იყოს, მაშინ საქმე მართლა ცუდათ იქნებოდა; მარა მოგეხსენებათ, რომ „ივერიის“ მთელი ჯარი განისაზღვრება ორი ადამიანით, რომლებიც გაზეთს ადგენენ. „ივერია“ არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას, არ ხატავს არც ერთ საზოგადოებრივ მიმდინარეობას. იგი ცხოვრების გარეშე სდგას, და ამიტომ ვერც მოვითხოვთ სოციალ-პოლიტიკური ვითარების სწორე დაფასებას. რომ ეს ვითარება ბ-ნ გოგიჩაიშვილზე ცოტა უკეთ გაეგება ჩვენს გლეხობას, (ამას ვამბობთ პროლეტარიატზე) ამას ამჩნევს ყველა, ვისაც კი აქვს თვალნი ხედვათ და ყურნი სმენათ. თუ ხალხი უკვე დაეცა სულით—ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—რას ნიშნავს, რომ რუსეთის აგრარიულ მოძრაობის (გლეხთა მღელვარების) მოლოდინში მთავრობა გაცხარებულ სამზადისშია; თუ ხალხი უკვე დაეცა სულით, დამორჩილდა და შეურიგდა თავის მდგომარეობას, რას ნიშნავს, რომ გაძლიერებული დაცვის წესები აღარ იხსნება, რას ნიშნავს რომ მთელი იმპერია სამხედრო, საომარ მდგომარეობშია?

დიახ, საზოგადოებრივ ცხოვრების გულის სიღრმეში რევოლიუციის დიადი ენერგიაა მოგროვილი, აქ გაცხარებული სამზადისია მომავალი ბრძოლისათვის.

**ლ. ფირალი.**

# ახალი ამბები

მოვაგონებთ ქალაქში ბინის დამქირავებლებთ, რომ ვინც **ოცდა სამ მარტამდის** ქალაქის სამმართველოში არ ჩაეწერება, იმათ ეკარგებათ საარჩევნო უფლება სახელმწიფო სათათბიროში.

✦ კავკასიის ნამესტნიკს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამიერკავკასიის რკინის გზა სამხედრო უწყების ხელში დარჩეს დიდი ხნით. სატახტო გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრი ამ პროექტის წინააღმდეგი გამხდარა.

✦ „ვესტნ. ვოზრ.“-ს ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ მანჯურიის ჯარის სამხედრო ექიმათ ნამყოფმა, გენერალ გუბერნატორ ტიმოფეევის წინადადებით, ქუთაი[illegible] „[illegible]ცელში“ აწერილ **ფაქტების სიმართლის** შეურყეველი საბუთები.

✦ იმავე გაზეთს დეპეშით აცნობებენ, რომ 20 თებერვალს ხონის გზატკეცილზე ორმა კაცმა **დილიჟანსი გაძარცვა**. წაუღიათ 5 ათას მანეთზე მეტი.

✦ იმ დროებით წესებში საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელიც ხელმწიფის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა, სხვათა შორის ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევა ყოველ დროს თავისი შეხედულებით, დახუროს საზოგადოებანი და კავშირები, თუ მათი მოქმედება საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და ან უშიშროებას დარღვევას უქადის. აკრძალულია საზოგადოებანი, რომელნიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ზნეობას, ან აკრძალულნი არიან სისხლის სამართლის კანონით, ან საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და უშიშროებას არღვევს და ან რომლებსაც განაგებენ საზღვარ გარეთ მყოფი დაწესებულებანი ან კერძო პირნი, თუ ამ საზოგა[illegible] მიზანი აქვთ.

✦ [illegible]ტიროვი, იმ მაღაზიის პატრონი, სა[illegible] დაჭრილი [illegible] კრიუჩკოვი მ[illegible] **დაჭერილია.** როგორ[illegible] გავიგეთ, სახტიროვისთვის ბევრი უცე[illegible] შემდეგ მისი ცოლი მისულა 1-ლ უბნის ბოქაულის თანაშემწესთან და უთხოვნია ჩემი ქმარი დამნაშავე არაა და ტყუილათ ნუ სცემთ და ნუ სტანჯავთო. ბოქაულის თანაშემწეს უწმაწურათ დაუწყია დედა-კაცთან ლაპარაკი, ხოლო როცა ამ უკანასკნელს პასუხი მიუცია, საქმით შეურაცხყოფა მიუყენებია. სახტიროვის ცოლი პოლიცმეისტერთან აპირობს საჩივრის შეტანას.

✦ **შუშა.** ამ თვის 17-ში მაზრის უფროსი ფრეილიხი ყაზახებით და პულემიოტებით მიადგა სოფ. ჩანახჩის გასაჩხრეკათ. წაიღეს რამდენიმე თოფი და სოფელს დაადეს 1500 მან. ჯარიმა. მარტის 18-ში ყუმბარა დაუშინეს სოფ. სარქისაშენს. დაწვეს ერთი სახლი, ჩხრეკას განაგრძობენ; ზარალი დიდია. წაიღეს ხუთი თოფი. („ჰარ.“).

✦ **განჯა.** მ-რტის 14-ში სადგურის შორიახლო მდებარე თუმანიანის სახლის ეზოში აგურების გროვაში იპოვნეს 4 ყუმბარა მაკედონიის ტიპისა, 2 რევოლვერი 8 თოფი. სახლის პატრონი თუმანიანი დააპატიმრეს და ახლა მეტეხის ციხეში ზის. მას ბრალდება „დაშნაკცუტიუნის“ წევრობა.

✦ **ეჩმიაძინი.** ეჩმიაძინის აკადემიიდან გამორიცხეს მოსწავლე ტერ მიქელიანი გაზეთებში კორესპონდენციების წერისთვის. („მშ.“).

✦ ბაქოს ნავთის მწარმოებლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი თხოვნა წარუდგინეს: ფუთ ნავთზე ნახევარი კაპეიკი მოუმატონ, 2) გაუქმდეს **სააქციზო გადასახადი** ნავთზე, 3) შემოღებულ იქმნეს ბაქოში გრადონაჩალნიკობა და გააძლიერონ პოლიცია, რის სასარგებლოთ ისინი წლიურათ შესაფერ ხარჯს გაიღებენ და სხვა. კავკასიის ნამესტნიკი მხარს უჭერს ნავთის მწარმოებელთა თხოვნას.

✦ **სოფ. სალხინოდან** გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ გლეხებს, რიცხვით 50-ს [illegible], რომლებისთვისაც მიუნდვიათ სოხუმის ოლქში ადგილების მოძებნა გადასასახლებლათ, რადგან მათ აიძულებენ პრინცესა მიურატის მამულიდან გავიდენ. ყოველ დღე ჯარს უსევენ და ათასგვარ შევიწროებას აყენებენ.

✦ **ლანჩხუთიდან** გვწერენ: 13 მარტს აქაურმა ბოქაულმა მამასახლისის პირით გამოუცხადა საზოგადოებას: პავლე წილოსანის გაქცევისათვის კრილოვმა დაგაჯარიმათ, მარტო ლანჩხუთელები ექვსასი მანეთითაო! ხალხი კინაღამ გაცოფდა, შეიქნა ერთი აურ-ზაური, „აღარ მინდა ცოცხალი თავი, მოვიდეს და ბარემ გაგვწყვიტოს იმ ოჯახ „აშენებულმაო“, ყვიროდა ხალხი. საზოგადოებამ **უარი** განუცხადა კრილოვს ამ უბრალო გადასახადების გადახდაზე და აგრეთვე წინათ დადგენილ 3,500 მანეთზე, რომელიც წინათ კრილოვმა გააწერა იარაღის ფასათ.

✦ ამ დღეებში დაუტუსაღებიათ ორი მატარებლის შემდგენლები (составителей поѣздовъ) მამამთავრიშვილი და უტოჩკინი, რომლებიც ბაქოს სატუსაღოში გაგზავნეს, მათი დატუსაღება მოხდა ცნობილ პრავაკატორი ბიზიუკის წყალობით. ეს ის ბიზიუკი ბრძანდება, რომელიც წინეთ მიხაილოვში იყო სადგურის უფროსის თანაშემწეთ და ჯაშუშობისთვის იქაურმა მოხელეებმა და მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, რის გამო სად. აჯიკაბულში გადმოიყვანეს. უშვერის ენით ლანძღავს წვრილ ხელოსნებს, ამისთვის მთელმა მოსამსახურეებმა უჩივლეს სადგურის უფროსთან, მათ შორის ზემოხსენებულმა ორმა დატუსაღებულებმაც, მაგრამ სამართლის მაგივრათ ციხე აგემეს თავხედ მახოვნელებს.

✦ ორშაბათს, 20 მარტს, თფილისის ხელოსანთ **კრება ჰქონდათ.** უნდა აერჩიათ ხელოსანთა მოურავი. ბარათებით დაასახელეს ოთხი კაცი: სეროზიანცი, რაფაელოვი, მხეიძე და დქებეცკი. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნა რაფაელოვი. ხელოსნების მამასახლისები ფიქრობენ გუბერნატორს თხოვონ, რომ მეორე არჩევნების ნება დართოს, რადგან წინა არჩევნებს წევრთა საკმაო რიცხვი არ დასწრებიაო. რაფაელოვზე ბევრი საჩივარია შემოსული ხელოსანთა მხრით.

✦ როგორც გადმოგვცეს, ნახიჩევანში დიდი შიშიანობაა თურმე. მცხოვრებნი ღამ-ღამობით გარეთ ვერ გამოდიან.

✦ ორშაბათს, 20 მარტს, საღამოს $8^1/_2$ საათზე მიხეილის პროსპექტზე რესტორან „მადერში“ ერთი ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი ვაჟბატონი ვახშამს მიირთმევდა. ნავახშმევს სიტყვის მასალათ ს.-დემოკრატების თავხედური გინება დაიწყო. როდესაც ამ ვაჟბატონმა გადააჭარბა, ეს ვერ მოითმინა რესტორანის ლაქიამ და სტუმარს სიტყვა შეუბრუნა. პასუხათ ამ ვაჟბატონმა თამამათ რევოლვერი ამოიღო და უნდოდა ესროლა, მარა ყველანი გარეთ გაიქცენ. ამ დროს მახლობლათ ორმა ყმაწვილმა გამოიარა. შეზარხოშებულმა სტუმარმა ერთ ამ ყმაწვილთაგან პ. ყ. ნარიყაშვილს უწმაწურათ ლაპარაკი დაუწყო. საჩქაროთ პოლიციელიც მოიყვანეს და მოჩხუბარი მალე უბნის სამართველოში წაიყვანეს. „ბრძოლის ველზე“ ამ ვაჟბატონს დარჩა პატრიოტულ საზოგადოების ბილეთი, იქიდანვე სჩანს, რომ მისი გვარი კრავჩენკოა.

✦ როგორც გავიგეთ 25 მარტიდან რუსულ ენაზე გამოვა ქ-ნ დავითაშვილის რედაქტორობით ახალი ყოველდღიური გაზეთი „Кавказскія вѣсти“.

✦ „ცნ. ფ.“-ს პეტერბურგიდან შემდეგ ამბებს ატყობინებენ დეპეშით: განზრახულია კავკასიაში გაიგზავნოს რკინის გზის ბატალიონი. ყველა გზების დიდ სადგურებზე განსაკუთრებული სამხედრო მატარებლები იქნება ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით.—სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დურნოვოს პროექტი ქალაქებში სამხედრო წესების დატოვების შესახებ.—17 მარტს დურნოვომ მეორეთ გამართა ბრწყინვალე ბალი.—რუსეთის მომავალ პარლამენტის შენობაში მუდამ იდგომება ორი როტა ქვეითა ჯარისა და ყაზახთა ნახევარი სოტნა.—ჩერნიგოვის გუბერნიაში აგრარული მოძრაობა გამწვავდა.—გაზეთები აღნიშნავენ, რომ პირველს არჩევნებში მთელ შიდა რუსეთში, კონსტიტუც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.—პობედონოსცევი სამუდამოთ სტოვებს პეტერბურგს.

✦ **ფოსტის თავდასხმა.** გუშინ 20 მარტს, სადგურ ტაბახმელასთან კვლავ თავს დაესხნენ ფოსტას ვიღაც უცნობნი პირნი. მოჰკლეს ფოსტალიონი, მეეტლე, მძიმეთ დასჭრეს სტრაჟნიკი და გაიტაცეს 400 მანეთამდის.

✦ 20 მარტს თბილისიდან ბათუმს გაგზავნეს რამდენიმე **სოტნა კაზაკები.**

✦ ტფილისში არსდება **სააქციონერო საზოგადოება** არყითა და კონიაკით მოვაჭრე მექარხნეებისაგან. სააქციონერო საზოგადოებაში შედიან მექარხნეები: სარაჯიშვილი, მელვინოვი, ხუბლაროვი, სოლომონოვი, ალექსანდროვი, გაბაშვილი, ბალდასაროვი, კვეზერელი—კოპაძე და სხვანი.

✦ გუშინ, 4 საათზე, დღისით ფეთხაინის (ბეთლემის) ქუჩის მეხუთე ნაწილს „გრუზინსკი“ პოლკის კამანდირმა საგინოვმა ჯარი შემოარტყა და ბინებს **ჩხრეკა** დაუწყო. ქუჩაში არავის უშვებდენ, გამვლელგამომვლელთ ყველას სჩხრეკდენ. გაჩხრეკის დროს, როგორც გადმოგვცეს, ბავშვების სათამაშო თოფი წაიღეს.

✦ ქუთაისის გუბერნატორათ ნამყოფ სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორ ყიფშიძის **საქმის გამოძიება** უკვე დაასრულა მიტკევიჩმა და გუშინწინ, 20 მარტს, კავკასიის საოლქო შტაბს გ დასცა.

✦ **რაჭა-ლეჩხუმიდან** გვწერენ, რომ იქ შავი რაზმები თავს ესხმიან გლეხებს და თუ კი რამე აბადიათ ართმევენ. ამ ყაჩაღობაში თავად-აზნაურობა იღებს თურმე მონაწილეობას.

✦ გამოვიდა და იყიდება „ამხანაგი“-ს მიერ გამოცემული წიგნი: „რა გზას ადგია საზოგადოებრივი განვითარება“, კაუცკისა. ფასი ორი შაური.

✦ **დარიელის მონასტერში** სამრევლო სკოლა დიდიხანია არსებობდა და ეხლა ექვთიმე ეპისკოპოზს დ[illegible]ტია.

✦ **ითარგ**მნება არტემ კანის „როგორ უნდა მოეწყოს პროფესსიონალური კავშირი“.

✦ კვირას, 19 მარტს, მარინეს ეკკლესიის სამრევლო სკოლაში მისულა ორი **შეზარხოშებული გოროდოვოი** და თოფის შანჯვა დაუწყიათ, უცაბედათ **თოფი გავარდნიათ.** რის ხმამ ეკკლესიაში მყოფი ხალხი დააფეთა და გარეთ გაცვენილან. თოფით ბავშვი კინაღამ მოუკლავთ.

## სათათბიროს არჩევნები

გაზ. „კავკაზ“-ში ვკითხულობთ:

„ჩვენი გლეხები ჯერ კიდევ არ ჩაბმულან პოლიტიკურ ცხოვრებაში, არსებითათ არ გაცნობიან მის სინამდვილეს და, რადგანაც ვერ ნახულობენ თავიანთ შორის მცოდნე და შეგნებულ პირებს, ირჩევენ სოფლის მღვდელს, არა იმიტომ, რომ ის ეკლესიის წარმომადგენელია, არამედ იმიტომ, რომ ის სხვაზე უფრო შეგნებული და გამოცდილია ყველაფერში“.

„კავკაზ“-ის აზრით არის სხვა მოსაზრებაც რის გამო სოფლელები „სულიერ მამას“ კანდიდატურას უფრო მაღლა აყენებენ რომელიმე სხვა განათლებული პირის კანდიდატურაზე.

„ყოველ ეჭვს გარეშეა, განაგრძობს გაზეთი, რომ მღვდელსა და გლეხებს შორის უფრო ახლობელი და მჭიდრო კავშირი სუფევს, ვიდრე გლეხებსა და ერობის მასწავლებელთ შორის, რომელნიც დღეს აქ არიან და ხვალ სხვაგან“.

ძალიან ცდება გაზ. „კავკაზ“-ი, თუ ჰგონია, რომ გლეხებს და მღვდელთა შორის რაიმე მეგობრული განწყობილება იყოს ეხლა. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ სულიერმა მამებმა სრულებით დაკარგეს ხალხის ნდობა, რის დასამტკიცებლათ გაიხსენეთ ჩვენებური ხალხის აზრი მღვდლებზე... რაც შეეხება რუსეთის გლეხკაცობას, ვერც იქ უოფილა კარგათ „სულიერი მამების“ საქმე, აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ გაზ. „რუს. ვედ.“.

„იმ შემთხვევაში, როდესაც კრების უმრავლესობას მღვდლები შეადგენენ, ისინი აშავებენ ყველა კანდიდატებს და ირჩევენ მღვდლებს; მაგრამ სხვა შემთხვევებში, როდესაც მღვდლები უმცირესობას შეადგენენ, ესე იგი, ყოველ, ასე თუ ისე მრავალრიცხოვან კრებაზე, არც ერთ მღვდელს არ ირჩევენ, ამისთანა შემთხვევებში მღვდლები აცხადებენ პროტესტს, ხშირათ, დემონსტრატიულათ, ტოვებენ კრებას და, სხვა და სხვა საბუთებით ასაჩივრებენ არჩევნებს. **განსაკუთრებული მტრული განწყობილება გამოუცხადეს მღვდლებს ამომრჩეველმა გლეხებმა, რომელნიც ძალიან ხშირათ აშავებენ მღვდლებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „სულიერი მამები“ ბრძანდებიან“.**

აი როგორ ყოფილა საქმე და არა ისე, როგორც „კავკაზი“ ხსნის.

# კავკასია.

**სამტრედია.** ახლო-მახლო საზოგადოებებიდან შემდეგს გვატყობინებენ: ახლო-მახლო სოფლებში დაინიშნა კომისია, რომელიც აწესრიგებს მიწებს სამუშევრათ. შემამულეები მაინც და მაინც არ გაჯიუტებულან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ფიცხ თავადებს, რომელნიც დროს უცურებენ.

არჩევნები გათავდა. უარდობამ საშინლათ იმატა.

ამ დღეებში ადგილობრივი ბოქაული ყაზახებით და სტრაჟნიკებით ღამე თავს დაეცა სოფელ ჯიხაისში ილიკო ბექაიას და დაიჭირეს. გზაზე გაქცევა ურჩიეს და სცადა თუ არა გაქცევა, ესროლეს და მძიმეთ დაჭრეს. მასთან იპოვნეს რევოლვერი და ბერდანკა პატრონებით. ბექაიას მილიციონერობას აბრალებდნენ და მასთან სალდათობიდანაც გამოქცეულიაო.

[illegible]

—

**ფოთი.** როგორც მოგეხსენებათ, რევკომ ფოთს ყველა ქალაქებზე ბოლოს ესტუმრა [illegible] ქოვანის წინამძღოლობით. გამოცხადდა სამხედრო წესები, და შეუდგენ წვა-აწიოკებას. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. ყველას ეგონა, რომ ამიერიდან ფოთი ამოიშლება კავკასიის ქარტიდანო. ყველა განკალდებოდა და გულ შეწუხებული მოელოდა წლობით სისხლითა და ოფლით შეძენილ ავლა-დიდების გაქრობა-გაქარწყლებას. მაგრამ საქმე რამდენიმე დღეების დაწვით გათავდა. ჩიქოვანმა ერთი ნაწილი თავის ჯარისა დასტოვა ფოთში და დანარჩენით მალე ისევ სენაკში გაემგზავრა. ფოთმა ოდნავ თავისუფლათ ამოისუნთქა. ქალაქის მამებმა რაც ძალა და ღონე ქონდათ შეუდგენ ქალაქის რეაქციისაგან უზრუნველყოფაზე ზრუნვას. ქალაქის საბჭოში კრებები კრებებზე იმართებოდა. ქალაქის მამ[illegible]

# ფელეტონი

### პოლიტიკური პარტიები

(საუბარი მუშასთან)

ყოველ, პოლიტიკურათ თავისუფალ, სახელმწიფოში არსებობს სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები: რეაქციონური, კონსერვატორული, ლიბერალური, რადიკალური, სოციალდემოკრატიული და სხ. ასეთ პოლიტიკურ პარტიებს ვერ შეხვდებით, ანუ თითქმის ვერ შეხვდებით ისეთ სახელმწიფოში, საცა არ არის პოლიტიკური თავისუფლება. რა არის ამის მიზეზი?

ეს კითხვა თავის თავათ აიხსნება, თუ ჯერ ავხსნით შემდეგ კითხვას: საიდან წარმოსდგება პოლიტიკური პარტიები და რისთვის არიან ისინი მოვლენილი?

მოკლეთ ამ კითხვის პასუხი ასეთია: სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების არსებობა წარმოსდგება სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასთა არსებობისაგან; ესა თუ ის პოლიტიკური პარტია მოვლენილია ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ინტერესთა დასაცველათ.

განვმარტოთ ეს უფრო ვრცლათ. ყოველი თანამედროვე, კაპიტალისტური საზოგადოება გაიყოფება სხვა და სხვა ნაწილებათ, რომლებსაც საზოგადოებრივი კლასები ეწოდება; უმთავრესი კლასებია: სხვილი ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია, პროლეტარიატი. ამ კლასების ინტერესები უმეტეს ნაწილათ ძირიანათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს,—ესე იგი: ის, რაც სასარგებლო და ხელსაყრელია ერთი კლასისათვის, საზარალო და დამღუპველია მეორე კლასისათვის. მაგალითათ, ბურჟუაზიისათვის სასარგებლოა—მუშებმა რაც შეიძლება დიდ ხანს იმუშაონ, ქირა კი რაც შეიძლება ცოტა აიღონ; პროლეტარიატისათვის კი ეს, პირიქით, საზარალოა, ხოლო სასარგებლო კი მისთვის ის არის, რომ მუშებმა რაც შეიძლება ცოტა იმუშაონ, ქირა კი რაც შეიძლება მეტი აიღონ. ან კიდევ მაგალითათ: სხვილი ბურჟუაზიისათვის საჭირო და სასარგებლოა მოისპოს წვრილი წარმოება—ხელოსნობა, წვრილი ბურჟუაზიისათვის კი ეს, პირიქით, დამღუპველია, ხოლო სასარგებლო კი მისთვის ის არის, რომ წვრილი წარმოება რაც შეიძლება, გაძლიერდეს და აყვავდეს.

აი ინტერესების ასეთ წინააღმდეგობის გამო სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებ შორის მუდამ ბრძოლაა გამართული. თვითეული კლასი ცდილობს თავისი ინტერესები დაიცვას, ხოლო სხვა კლასების ინტერესები კი დაიჩაგროს. ასე ხდება კლასობრივი ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე. ასეთი ეკონომიური ბრძოლა არსებობს ყველა თანამედროვე, კაპიტალისტურ საზოგადოებაში იმის მიუხედავათ, თავისუფალია თუ არა ეს საზოგადოება პოლიტიკურათ.

მაგრამ ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს პოლიტიკური თავისუფლება, იქ ეს ეკონომიური ბრძოლა იღებს პოლიტიკურ სახესაც.

საქმე იმაშია, რომ პოლიტიკურათ თავისუფალ ქვეყანაში სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაში ასე თუ ისე მონაწილეობას იღებს მთელი საზოგადოება და ხალხი, მონაწილეობას იღებს ერთი მხრით თვის მიერ არჩეულ წარმომადგენლების შემწეობით (რომელთა საერთო კრება—პარლამენტი, განაგებს სახელმწიფო საქმეებს), ხოლო მეორე მხრით კი თავისუფალ კრებების, თავისუფალ ლაპარაკის, წერის, კავშირების და სხ. შემწეობით, და რადგან სახელმწიფო საქმეები შეიცავს სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა ინტერესებს, რადგან ეს საქმეები ყველა კლასებს შეეხება, ამიტომ თვითეული კლასი ცდილობს რაც შეიძლება მეტი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაში, რაც შეიძლება მეტი გავლენა იქონიოს თავის სასარგებლოთ წარმართვაზე და მოახერხოს ისეთი კანონების გამოცემა, რომლებიც მის ინტერესებს უფრო დაიცავენ სხვა კლასების საზარალოთ. მაგალითათ, ბურჟუაზია ცდილობს ისეთი კანონების გამოცემას, რომლებიც მეტ სამუშაო დღეს დააკანონებს, პროლეტარიატი კი ცდილობს უფრო მცირე სამუშაო დღის დაკანონებას.

ამ მიზნის მისახწევათ თვითოეული კლასი ცდილობს შეკავშირდეს და დაარსოს თავისი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ანდობს სახელმწიფოში თავისი ინტერესების დაცვას, დაცვას როგორც პირდაპირი მონაწილეობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში (პარლამენტში), ისე მწერლობით, ზეპირ-ქადაგებით, კრებების გამართვით და სხ. (პარლამენტს გარეთ).

აი საიდან წარმოსდგება, აი რისთვის არის მოვლენილი პოლიტიკური პარტიები! და აი, რატომ არსებობს ასეთი პარტიები პოლიტიკურათ თავისუფალ ქვეყანაში, ხოლო ისეთ ქვეყანაში კი, საცა პოლიტიკური თავისუფლება არ არის, თითქმის ვერ ნახავთ ასეთ პარტიებს.

ეს ითქმის საზოგადოთ ყველა თანამედროვე სახელმწიფოებზე. ახლა განვიხილოთ ეს კითხვა კერძოთ რუსეთის სახელმწიფოს შესახებ.

რუსეთის სახელმწიფო, როგორც იცით, უკანასკნელ დრომდე სრულიად მოკლებული იყო პოლიტიკურ თავისუფლებას, და ამის გამო, თუმცა რუსეთის მცხოვრებნიც სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებისაგან შესდგებოდენ, მაგრამ პოლიტიკური პარტიები კი აქ არ არსებობდა. მთელი სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობა ხელში ჩაგდებული ქონდა და ჯერ კიდევ აქვს თვითმპყრობელ მთავრობას; საზოგადოებრივ კლასებს კი არ შეეძლოთ ამ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება არც წარმომადგენლების შემწეობით, არც თავისუფლათ შეკრების, ლაპარაკის და სხ. საშუალებით, და ამის გამო არ შეეძლოთ არც პოლიტიკურ პარტიების დაარსება. და თუ ამის მიუხედავათ რუსეთში მაინც არსებობდა სოციალდემოკრატიული პარტია, ჯერ ერთი ეს არ იყო მტკიცეთ შეკავშირებული პოლიტიკური პარტია, ასე რომ ეს პარტია მაშინ სახელით უფრო არსებობდა, ვინემ საქმით, და მეორეც ეს არ იყო ნამდვილი პოლიტიკური პარტია, რადგან მას არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება; ეს იყო უფრო რევოლიუციონური პარტია, რომელსაც უფრო გავლენის მოხდენა შეეძლო მართვა გამგეობაზე თავისი რევოლიუციონური მოქმედებით, და რომელსაც უპირველეს მიზნათ დასახული ქონდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოება.

მაგრამ აი სოციალდემოკრატიის რევოლიუციონურმა მოქმედებამ და მუშათა მოძრაობის გაძლიერებამ ძირი გამოუთხარა თვითმპყრობელობას, აუცილებელი გახადა რუსეთში დღეს თუ ხვალ პოლიტიკურ თავისუფლების დამყარება, და კიდეც თანდათან რუსეთშიაც თავი წამოყვეს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა. სოციალდემოკრატიულ პარტიის გარდა დღეს რუსეთში ჩვენ ვხედავთ შემდეგ პარტიებსაც: სოციალისტ-რევოლიუციონერებისას, რადიკალებისას, თავისუფალ მოაზრეებისას, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებისას, ვაჭარმრეწველებისას, წესრიგისას, 17 ოქტომბრისას, მონარქისტებისას და სხ. და სხ. ასე რომ დღეს რუსეთში თექვსმეტი პარტია ირიცხება. მაგრამ ამ პარტიებში ოთხი უმთავრესი მიმართულებაა. შემდეგ ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველს ეს მთავარი მიმართულებანი.

**ს. ნემეზილაშვილი.**

...დიდი ნიკო ამ კრებაზე მწყემ-მეტყველურათ ღმერთმანით და ხატმანით არწმუნებდა ფოთელებს, რომ ისინი დაიბნენ, დაკარგეს გონება, აყვენ „ჟაზილარებს", სოციალდემოკრატებს, და კინაღამ მთელი ფოთი ცეცხლს არ მისცესო. „მართალიაო—თქვა მან—სოციალდემოკრატები მიტინგებზე ნაცარქექიას, ჩამორჩენილს, მეძახიან მე, მაგრამ ხომ ხედავთ ამ თავში კიდევ ფვილა წკაპა ხელით თავის შუბლზე ანიშნებდა—არა ერთხელ მითქვამს და ვიტყვი კიდევ, რომ ჯერ ადრეა, ადრე და ტყუილათ დაიღუპებით. ამის იქით მაინც შეიგნეთ თქვენი შეცდომა და ნუ აყვებით ფეხის ხმას, თორემ დაიღუპებით. დამიჯერეთ მე და ფოთს ყველა ხიფათს თავიდან ავაცდენო". ორატორი ტაშ-ის კრით და ვაშა-ვაშას ძახილით დააჯილდოვეს. ამის შემდეგ მოხდა პოლიციის და ქალაქის თვითმართველობის შეუღლება. ეს ჩინებული წყვილი შეუდგა ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვას. გაამრავლეს „გოროდოვოები"-ს რიცხვი, დაიქირავეს ღამის ყარაულები, „სტრაჟნიკები" და ასე ამ გვარათ ხალხის ჯიბით შეუდგენ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას. გამოცხადებულ იქნა, რომ სოციალდემოკრატებისათვის ბინა არავის მიეცა და თუ ვინმე შენიშნავდა მას უსათუოთ პოლიციაში მიეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი დამცველები დაწვა-აწიოკებით ემუქრებოდენ. ამ გარემოებამ ხალხი საშინლათ დასცა და გასტეხა. ჯაშუშთა რიცხვი სოკოსავით მრავლდება. ამდენხანს თუ ინგლისელი მეზღვაურნი ფოთს ბაყაყების სამეფოს უწოდებდენ, ეხლა თამამათ შეუძლიათ ბაყაყ-ჯაშუშთა სამეფო უწოდონ. მაგრამ სოციალდემოკრატები მაინც თავისას არ იშლიან და განაგრძობენ ფურცლების გამოცემას. ამბობენ: „ერთმა ფურცელმა ფოთში საალყო წესების გამოცხადება გამოიწვიაო". არ ვიცი რამდენათ მართალია, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ საღამოს შვიდი საათის შემდეგ მთელ ფოთში სიცოცხლე წყდება. არავის შეუძლია ქუჩაში გამოვიდეს, ყველა სახლშია მიმალული, ბევრი კი სანთელსაც აქრობს, ვინაიდან ასე უბრძანებენ შავი რაზმელები.

თხუთმეტ მარტს ფოთს ესტუმრა ალიხანოვი თავის ამალით. ქალაქის მამებმა პურ-მარილით მიიღეს ის და ეპისკოპოზის სახლში მიიწვიეს, სადაც მისთვის მზადდებოდა დიდებული სადილი, მაგრამ ალიხანოვმა მიწვევაზე უარი სთქვა, სადგურზე ვაგონში დაბინავდა, ქალაქის მამებს მადლობა გამოუცხადა ჩინებული ყოფაქცევისათვის და სთქვა: „მოქალაქეებს შეუძლიათ მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგენ, სოციალდემოკრატები საბოლოოთ აღიგვენ დედამიწის პირისაგანო". მამებმა მადლობა გადაუხადეს. [illegible] მეტს ალიხანოვი კრეისერით გაემგზავრა სოხუმში.

ქალაქის საბჭო განაგრძობს თავის ღირსშესანიშნავ კულტურულ მუშაობას. დახურა ერთად-ერთი სამკითხველო და საავათმყოფო იმ მოსაზრებით, რომ ამ დაწესებულებებით მუშები სარგებლობენო. ისინი ფულს არ იხდიან და ქალაქს კი არა აქვს საშუალებაო; ამავე დროს ყარაულებისა და სამართველოში მოსამსახურეთა რიცხვს ამრავლებენ და ჯამაგირებს უმატებენ. მხიარულს!

18 მარტს სამხედრო-საველე სასამართლო ასამართლებს რუხა მელენუშვილს, რომელსაც აბრალებენ ერთი ჟანდარმისა და პოლოვნიკის მოკვლას. დღეს დააპატიმრეს სამი მუშა: კალანდაძე, დოლიძე და სიხარულიძე, რა ბრალს სდებენ არ ვიცით.

აქაურ ციხეში პოლიტიკურ დამნაშავეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. სხვათა შორის დაჭერილი არიან: ან. ქლენტი ვანო კობახიძე და სხ.

**არისტიდ.**

—

**ჭიათურა.** აქ მდგომი კაზაკები, 2 ოფიცრისა და ბოქაულის თანაშემწის, ილიკო წერეთლის თანხლებით 15 მარტს ავიდნენ ს. სვერში (ეს სოფელი აქამდი არ გადაუწვავთ და ალბათ ისე პირ წმინდათ მოყობიან, რომ არც ერთი არ უნდათ დატოვონ, როგორც მოსალოდნელი იყო). და მთელი სოფელი დააწიოკეს, გადაწვეს აგრეთვე ხუთი მოსახლე გლეხი, გვარათ ცუცქირიძეები. ეს ილიკო წერეთელი ამავე სოფლის მცხოვრებია; 17 ოქტომბრის შემდეგ სახალხო სასამართლოებს თავმჯდომარეობდა, რეაქციის დროს ხალხს ყვირილაში გატაცებულ ფულს ახედვინებდა და ასე ეუბნებოდა: არ მინდა, მაგრამ რა იქნა, გვერდი არ შემევლებაო. ამ ილიკომ ბოქაულის ფორმა გაიხადა, როდესაც ის ხელსაყრელი იყო, მაგრამ მოატანა რეაქციამ თუ არა, ისეთი ახალი მუნდირი ჩაიცვა, რომ ბზიკადი გაქონდა. 16 მარტს ისევ გაემგზავრნენ ხსენებულ სოფელში აქ მდგომი კაზაკები იმავე ილიკოს თან-ხლებით. ამბობენ, ს. წევაში მყოფი ყაზახები წამოვიდენ ულევზე და იმათ უნდა შეხვდენო. მთელი გვირა წევაში და ახლო-მახლო სოფლებში ყაზახები და სალდათები დათარეშობენ, სოფლიდან ვინც მოასწრო წასვლა, თუმცა საცხოვრებელი დაკარგა, მაგრამ მაინც უფრო ბედნიერია, რადგან ცოლ-შვილი მაინც გადაურჩა, გაუპატიურებელი; ვინც ვერ მოასწრო და ბევრი ცემის შემდეგ ცოლ-შვილს თვალ-წინ აუპატიურებენ, მის საცხოვრებელს თვალ-წინ უთხრებენ. მოკლეს ახალგაზდა უმაწვილი მიშა განჩილაძე, დაატყვევეს ერასტი განჩილაძე და სხვები"...

ჯოყოეთიდან ჩამოსულმა არქიპ მოდებაძემ მაცნობა: „მოვიდენ ჩვენსას, მისვლისთანავე სახლს ცეცხლი მისცეს, მერე მოხუცი მამა და დედა გამილახეს თითონ მეც ბევრი მირტყეს, შენ რაზმელები გყოლია სახლში დამალულიო, მერე გამოიყვანეს მოხუცი მამა და უთხრეს—არ გერჩით, წი წადით, მაგრამ გაიარა 60 საჟენი თუ არა, სამჯერ ესროლეს თოფი, მაგრამ ყველა ასცდა, მერე რამდენიმე ზალპი მისცეს და იქვე მოკლეს. ესეც აღარ აკმარეს და მკვდარ მოხუცს ცეცხლი წაუკიდეს; ჩვენ, პატრონებს არ გვაწვნეს მიცვალებული. ამის შემდეგ დაერივნენ სოფელს და გაძარცვეს, ააწიოკეს, გააუპატიურეს მრავალი ქალები".

ახლა სხვასთან შედარებით უფრო მშვიდობაა და მრავალი ხალხი, მეტადრე ვინც ცოლ-შვილიანია, პაპათურას აფარებს თავს ახლო-მახლო სოფლებიდან; რადგან სოფელში ჯარი ცხვრის ფარასავით არის მიდებული და არც ერთ სოფელს არ ტოვებენ აუწიოკებელს.

**ამხანაგი.**

—

**ს. კიკნაველეთი** (ქუთაისის მაზრა). გამხეცებულ და გაავთორებულ რეაქციას არც ჩვენი სოფელი დაურჩა დაუკენწლავი, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ყოველი მოთხოვნილება მთავრობისა დაუყოვნებლივ შევასრულეთ, მაგ. წარვადგინეთ ხაზინიდან გატაცებული ფული, თუმც ქუთაისის მაზრის არც ერთ სოფელზე არ შეუწერიათ გარდა ჩვენი სოფლისა, ავუსრულეთ ყოველი მოთხოვნილება, ასე გასინჯეთ—რაზმელებიც თავის ნებით გამოცხადდენ მთავრობასთან და იარაღიც ჩააბარეს რაც ქონდათ, მაგრამ ვერაფერმა ვერ გვიშველა. 24 თებერვალს მაინც გვეწვია ცნობილი ყველასაგან პრისტავი მახარაძე თავისი გამხეცებული სტრაჟნიკებით, მათ წინ მოუძღოდა ცნობილი მოღალატე და ჯაშუში გორელი აზნაური კოლია ნემსაძე. დაიწყო ხალხის აწიოკება. მთელი სოფელი თავის ბარგი-ბარხანით მთას შეეხიზნა, რომელიც თოვლით იყო დაფარული. ბოქაული და სტრაჟნიკები პირველათ პირდაპირ მღვდ. ს. კიკნაველიძისას მიიჭრნენ, დაარბიეს სახლი, წაართვეს მღვდელს 120 მან. ფულათ და ნივთებიც 200 მან. აქედან მოსდგნენ და ვინც შეხვდათ გზაზე ყველა გაამათრახეს და სახლებშიაც თუ რამე ნახეს საფასური სულ წაიღეს. სცემეს შეუბრალებლათ ილია, ყანთ, მინაგო, ვარლამ და ომფორა კიკნაველიძეებს. ერთ ქვრივს, რომელსაც ტყეში ჯოჯოხლი მოეკრიფა და რვა აბაზი აეღო, ეს რვა აბაზიც კი წაართვეს და ცოტა დააკლდა თან კინაღამ გაამათრახეს. სოფლის ბოლოში შეხვდათ ერთი გლეხი ილია თაბუკაშვილი და შეუბრალებლათ აწამეს მტარვალებმა. სულ ხანჯლის წვერით დაჩხვლიტეს ეს ბატონმა კოლია ნემსაძემ, შენ უთუოდ გეცოდინება რაზმელები სად იმალებიან და გვითხარიო. ეს გლეხი სისხლისაგან დაშრეტილი დღეს მძიმე ავათმყოფია და მორჩება თუ არა, ღმერთმა უწყის. აქედან მახლობელ სოფ. წიფაში ჩაიარეს, გაძარცვეს ვისაც კი შეასწრეს სახლში. ერთ ქალს კარგი ტანისამოსი ჩაეცვა, იქნება არ წაგვართვონო, მაგრამ გახადეს და დედიშობილათ დასტოვეს; შემდეგ სოფ. ზეგანში ჩასულიყვნენ და ერთ მეწისქვილეს, რომელსაც გზაზე აქვს თავისი სამჭედლო, სცემოდნენ, გვითხარ რაზმელები სად არიან და იმდენი ეცემათ მათრახებით, რომ დღეს გასიებული ლოგინათ აგდია. ღამე ზეგანში გაათიეს გლეხ ალექსი დოგრაშვილისას და სულ დაუხოცეს რაც რამ წვრილ ფეხობა ჰყავდა. ყველა ეს ჩაიდინეს ქართველმა სტრაჟნიკებმა, და აბა რა გული უნდა დაგვწყდეს მხეც კაზაკებზე! მეორე დღეს ჩამოვლაგეთ მთებიდან. ვიფიქრეთ, უთუოთ რამდენიმე დღეს აღარ მოვლენო, მაგრამ იმ დღესვე, ე. ი. 25 თებ., მეორე ბოქაული გვეწვია 25 კაზაკით. ეწვიენ სისინა კიკნაველიძეს და მოსთხოვეს შვილი, რომელიც სალდათობიდან იყო გამოქცეული. მამა რას ეტყოდა, როცა თითონაც არ იცოდა სად იყო მისი შვილი. მისას დარჩნენ სამი დღე და დაემუქრნენ, ცეცხლის ალში გახვევთ, როგორც შენს სახლ-კარს, ისე მთელ სოფელსო. შეშინებულმა სოფლელებმა მოლაპარაკება გამართეს ბოქაულთან, ყოველივე ზომებს მივიღებთ მათ დასაჭერათო და ამის შემდეგ ბოქაული კაზაკებით მოცილდენ სოფელს.

ვენახები აგერ კვირტში გამოდის და კაცი ხელს არ ანძრევს. ყველა იძახის: რა ეშმაკათ მინდა რამე, დღეს თუ ხვალ ყველას იხრათ დაგვარჩენენო.

**კიკნაველეთელი.**

—

## ადგილობრივი პრესა

19 მარტს თფილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „ნაშა მისლ", რომელიც განსაკუთრებით მოწაფეთა ყოფა-ცხოვრების კითხვების გარკვევას კისრულობს. ახასიათებს-რა დღევანდელ მომენტს, გაზეთი ამბობს:

ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ უცქიროთ იმ ამბებს, რომლებიც ჩვენ გარშემო ხთება. ჩვენი მოვალეობაა მთელი ჩვენი ძალა და ღონე შევსწიროთ ხალხის სამსახურს, მშრომელი მასის ინტერესებს. ჩვენ უნდა ვემზადოთ საბრძოლველათ ხალხის ინტერესებისათვის!.. ამიტომ თავი და თავი საქმეა ჩვენი (მოწაფეების) თვითგამორკვევა.

დანარჩენ წერილებში ყურადღებას იქცევს ბ-ნ კლასიკის წერილი „მშობელთა წრეების" შესახებ. მშობელთა წრეებზე დიდ იმედებს ამყარებენ ზოგიერთები. ამბობენ, რომ ასეთ წრეების საშუალებით სკოლა უახლოვდება ცხოვრებას და მოწაფეთა და მასწავლებელთა შუა გავლებული ორმო რამდენიმეთ ამოსწორდებაო. დავუგდოთ ეხლა ყური, თუ როგორ ფიქრობენ ამ საგანზე თვით მოწაფეები. აღნიშნავს-რა ჩვენი პედაგოგების და მშობლების მოუმზადებლობას მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, ავტორი ამბობს:

მათი ჩინოვნიკურ-ბურჟუაზიული აღზრდა ჩვენგან შექმნის ჩინოვნიკებსა და ბურჟუებს.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: კრემენჩუგში მშობლებმა სცემეს „დოქტორ ზარს, მხოლოდ იმისთვის, რომ მან თქვა: აქამდის ჩვენი სკოლა ბიუროკრატიულ-პოლიციურ რეჟიმს ემორჩილებოდაო. თფილისის მესამე გიმნაზიის მშობელთა წრეს გადაუწყვეტია: უწესოება სკოლებში იმიტომ ხდება, რომ ჩვენი შვილები „კუხარკებისა და კუჩერების" შვილებთან ერთათ სწავლობენო...

ამნაირათ მშობელთა წრე ისეთი ინსტანციაა, რომელსაც უნდა მოწაფესა და სკოლას შორის ატეხილი ბრძოლა დაახლუნვოს და ყველაფერი ძველებურათ დატოვოს... ტყუილი ფიქრებია!..

სანამ მთელი ქვეყანა არეულ-დარეულია, მანამდე სკოლაშიაც იქნება „ანარქია". განახლდება ქვეყანა და სკოლაც განახლდება".

ასე ფიქრობს მოზარდ ახალგაზდობის საუკეთესო ნაწილი.

—

## ბურჟუა-ლიბერალები „მარქსისტობენ".

(დასასრული. იხ. ელვა № 8).

„მარქსისტები ხედავენ—განაგრძობს ბ-ნი იზგოევი,—რომ ახლანდელ მოძრაობაში პროლეტარიატის პოლიტიკურ ძალას დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ პროლეტარიატი სხვა კლასებზე უფრო მხნეთ და თავგამოდებით იბრძვის თავისუფლების დასამყარებლათ, მსხვერპლსაც მეტს სწირავს ამ საქმეს"... და სხ... მაგრამ ამ ბრძოლით მოპოვებული უფლება პროლეტარიატმა „ერობათა მოღვაწეთ და „კონსტიტუციონალ-დემოკრატებს" უნდა ჩააბაროს უკლებლათ და ისინიც მას სიამოვნებით მიეკედლებიან. სამაგიეროთ ამისა „პროლეტარიატი სხვა და სხვა გარანტიებს მიიღებდა, პროფესიონალურ კავშირების და პრესის თავისუფლებას, ურომლისოთაც მუშებისთვის შეუძლებელია დიდი და წესიერი ბრძოლის მოწყობა"... აი რა ცინიკური გულახდით ლაპარაკობს ბ-ნი იზგოევი, ამას გეტყვის ოდენაცკი არ ემეტება მუშებისთვის—დაპირებაშიც-კი ძუნწობს ეს ტიპიური ბურჟუა—გაფიცვის თავისუფლებას არც-კი ახსენებს!... ბურჟუაზია თავის იდეოლოგის პირით გვაუწყებს: პროლეტარიატო და გლეხკაცობავ, თქვენ სისხლი ღვარეთ, ქალაქის ქუჩები და სოფლის ველ-მინდვრები თქვენის გვამებით მოფინეთ და რაც ამ ბრძოლით მოიპოვოთ, მე გადმომეცით, მე კი იმდენათ გულკეთილი ვარ, რომ უნუგეშოთ არ დაგტოვებთ, კავშირების და პრესის თავისუფლებას მოგცემთ და გაფიცვას ან რაიმე ამგვარ „უწესოებას" თუ ჩაიდენთ—ტყვია-ხიშტებით დაგასაჩუქრებთო. მაგრამ, დახე პროლეტარიატის უმადურობას! იმის მაგიერ, რომ ეს „მამაშვილური" რჩევა მიიღოს, ის გაზეთებში და მიტინგებზე ლიბერალებს სასტიკ ბრძოლას უცხადებს, რვა საათის სამუშაო დღის რევოლუციონურის გზით შემოღებით მიაქვს იერიში მსხვილ ბურჟუაზიაზე, აშინებს დაუსრულებელი გაფიცვებით და შეიარაღებული აჯანყებით... და მით ერთხელ კიდევ ღალატობს, ბ-ნ იზგოევის აზრით, მარქსიზმს. ყველა ამ ცოდვებს ჩადის ეს წყეული სოციალდემოკრატია. რა ბედნიერი იქნებოდა რუსეთის ბურჟუაზია, რომ ეს ს. დ. არ ელობებოდეს წინ მის სურვილებს. აი [ამას] დასტირის ჩვენი ბურჟუაზია და რუსეთის პროლეტარიატის შეგნებული ბრძოლა მას მოსვენებას არ აძლევს. ის კარგათ ხედავს, რომ პროლეტარიატი შეგნებულათ იბრძვის, რომ ეს ბრძოლა სოციალდემოკრატიის მეთაურობით ხდება, მაგრამ ის მაინც ცდილობს ეს გააქარწყლოს და სოციალდემოკრატიას მნიშვნელობა დაუკარგოს ქვეყნის თვალში და პროლეტარიატსაც გული „გაუტეხოს". ამ მიზნით ბურჟუაზია ბ.ბ. იზგოევებს ასე ალაპარაკებს: „თუმცა ახლა მონაწილეობას იღებენ სოციალდემოკრატები და პროლეტარიატი, ეს მოძრაობა მაინც უწინდელ მოძრაობას გავდა" (პუგაჩოვის დროისა?) „აქაც შეუგნებელ უმრავლესობის სათავეში მოქმედებდა შეგნებული უმცირესობა". და აქედან ბ-ნი იზგოევი დაასკვნის, რომ გარდა ზომიერი პარტიებისა აქ ვერავინ გაიმარჯვებსო. მერე რატომ? იმიტომ, რომ ენგელსი ასე ამბობსო—გვიპასუხებს ლიბერალი. არა ბატონო, ენგელსი ისეთ პირობებზე ლაპარაკობს, სადაც პროლეტარიატს თავის პოლიტიკა არ გააჩნდა და სხვისი ბრმა იარაღი იყო, რის გამოც მისგან მოპოვებულ გამარჯვებით სხვა სარგებლობდა. პროლეტარიატს დღეს სულ სხვაა ეხლა. პროლეტარიატს დღეს თავისი საკუთარი პარტია აქვს განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამით და ის არავის არ დაანებებს თავის გამარჯვების ნაყოფს, იმ თავის პროგრამის განუხორციელებლათ. თქვენ ცდილობთ, რომ პროლეტარიატმა თავისი კლასობრივი ფართო ბრძოლა ვიწრო პროფესიონალურ ბრძოლაზე გაცვალოს, რომ სოციალიზმის წინათელი დროშა მან ორგროშიან პოლიტიკაზე გაყიდოს. ამიტომაა, რომ ბ-ნი იზგოევი ხელ-აპყრობით ღაღადებს: „გრძნობაზე დამყარებულმა მოძრაობამ შეგნებულ მოძრაობას უნდა დაუთმოს ადგილი. პროლეტარიატი ცალკე პოლიტიკურ პარტიის სახით უნდა შეერთდეს და ამნაირ პარტიათ უნდა იყოს, ჩემის აზრით, სოციალდემოკრატიამ, თუ იგი ბოლოს მაინც ნამდვილ ტაქტიკას მიაგნებს, მთავარი მეცადინეობა უნდა მოახმაროს მუშების შეერთებას, პროფესიონალური კავშირების მოწყობას.

ბ-ნ იზგოევის აზრით სოციალდემოკრატიას, მხოლოდ მაშინ შეუძლია დარჩეს პროლეტართა პარტიათ, როცა ის „ნამდვილ ტაქტიკას" მიაგნებს, ე. ი. თუ ის ბ-ნ იზგოევის ნაჩვენებ გზას დაადგება, მის პროგრამას მიიღებს და პროფესიონალურ კავშირის შედგენას დაისახავს ერთად-ერთ მიზნათ. მოკლეთ—სოციალდემოკრატია, მაშინ იქნება სოციალდემოკრატია, როცა ის გაბურჟუა-ლიბერალდება. საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიას შეიარაღებული აჯანყების ხსენებაც კი შიშის ზარსა გვრის. მის ნაცვლათ ქადაგებს მშვიდობიან და წყნარ ლეგალურ ბრძოლას „კანონიერების" ფარგლებში. ამ აზრის დასამტკიცებლათ ბ-ნი იზგოევი იმოწმებს ენგელსსაც. „უწინდელ დროინდელი აჯანყება, ქუჩებში ბარიკადებთან ბრძოლა,—ამბობს ენგელსი—ახლა ძალიან მოძველდა. გერმანიის სოციალდემოკრატიამ საყოველთაო, საარჩევნო უფლება ხალხის განთავისუფლების იარაღათ გახადა". მუშათა პარტიის ლეგალური ბრძოლა მთავრობისთვის და ბურჟუაზიისთვის უფრო საშიშრო შეიქნა, ვიდრე აშკარა შეტაკება და აჯანყება"... და სხ. როგორც ხედავთ, ენგელსის აზრი ამ კითხვაში თითქო სრულიად ეთანხმება ბურჟუა-ლიბერალების აზრს. ენგელსი კი მარქსისტია, მაშ ბურჟუა ლიბერალებიც მარქსისტები ყოფილან. ენგელსის ზემოთ მოყვანილი სიტყვები მოგონილი არაა; მაგრამ იქ ლაპარაკი, მხოლოდ გერმანიაზე და ისიც განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში.

ბურჟუა-ლიბერალები კი ენგელსის სიტყვებს ყოველ პირობებში და ყოველ შემთხვევაში თავის სასარგებლოთ იყენებენ. მაგრამ ეს იზგოევს და გოგიჩაიშვილს ამ შემთხვევაში პირველობა არ ეკუთვნით. ასევე სარგებლობდენ ამ სიტყვებით ენგელსის სიცოცხლეშივე მაშინდელი ლიბერალები და ოპორტიუნისტები. აი რას წერდა იგივე ენგელსი ამის თაობაზე ლაფარგს, 3 აპრილს 1895 წ.—„X-მა კაი ოინი მიყო. ჩემი წერილიდან, რომელიც შესავალია მარქსის სტატიებისა საფრანგეთის შესახებ 1848—1850 წ.წ., მას ამოუკრეფია ყველა ის, რაც კი მას უსათუოთ, ხელს შეუწყობდა თავის მშვიდობიან და ღვთისნიერ ტაქტიკის დასაცველათ, იმ ტაქტიკის, რომელსაც ის ერთი ხანია ქადაგებს, ნამეტნავათ ეხლა, როცა ბერლინში განსაკუთრებული კანონები მზადდება. მე კი ამ ტაქტიკას მარტო დღევანდელი გერმანიისათვის ვცნობ საფარსაგოთ და ისიც არსებითი შენიშვნებით და განსაზღვრული პირობებით. ბელგიაში, იტალიაში და ავსტრიაში სულ მთლათ ვერ მიიღებენ ამ ტაქტიკას და ხვალზეგ შეიძლება გერმანიისთვისაც გამოუსადეგარი შეიქნას". როგორც ხედავთ ენგელსმა თერთმეტი წელიწადია რაც უარყო თავის სიტყვების ყალბი განმარტება, რასაც ლიბერალები ჩადიოდენ, მაგრამ მისი მტრები მაინც თავისას არ იშლიან. ასე ბ-ნი იზგოევი და მისი ივერიელი მოძმე მაინც გვაჩერებენ ენგელსის ციტატას და გვარწმუნებენ რომ კანონიერობა ჯობიაო, ეს კანონიერება ლიბერალების ხელში უნდა იყოსო.

ვიმეორებთ, პროლეტარიატმა კაი ხანია გაიცნო ეს არამკითხე ქირისუფლები—იზგოევ-გოგიჩაიშვილები და მათ კრიმანჭულს ყურს აღარ ათხოვებს. ის მარსხანეთ და შეუდრეკელათ მიდის სულ სხვა გზით. მან იცის, რომ ძალა ძალით უნდა შეიმუსროს, სხვა გზა არაა და ამიტომ მედგრათ და იმედიანათ მიექანება „იქით"—და ლიბერალებმა რამდენიც უნდა „იმარქსისტონ"— ამ გზიდან მაინც ვერ გადაახვევინებენ.

**გილა.**

—

## მუშათა ცხოვრებიდან

—

**ტერ-პეტროსიანის სამკერვალო.** ქარხანაში მუშაობს 14—კაცი, ამაში ორი ოგიურია, და დანარჩენება კი ნაჭრობით მუშაობენ. აქ სახელოსნოს ქარგლები მეტათ შევიწროვებულია. სახელოსნოში არც ლამპაა, არც ხვირანი მაშინები და სხვა. ქარგალმა თვითონ უნდა წმინდოს და „აპაჩინკოს" მაშინები, რომ ადას კარგი შეკერილი საქონელი ჩააბაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხაზეინ-ნოქარ-დამჭრელები დაუწყებენ დახძლვა-გინებას ქარგალს და შეიძლება გზაც უჩვენონ. მაგრამ ეს არ კმარა: ხაზეინი მუდამ ეპაჭრება ქარგლებს ფასის მიცემაზე, ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები მისცეს იმ ნაჭრებშიც, რომელზედაც უკვე შეთანხმებულან. ამნაირათ ვაჭრობა მეორდება ყოველ შაბათობით, და რადგან ხშირათ მთელი კვირის შრომით დაღლილ-დაქანცულ მუშებს ბევრი ვაჭრობა არ შეუძლია და ამასთანავე, რომ ამ კრიზისის დროს, არ დარჩეს ხაზეინისაგან დათხოვნილი, იძულებულია დასთანხმდეს იმ ფასში, რასაც ხაზეინი შეაძლევს. გარდა ამისა ბატონი ხაზეინი სამუშაოს ზოგს მეტს აძლევს და ზოგს კი ძალზე ნაკლებს. ეს იმიტომ, რომ ხაზეინს ვინც არ მოსწონს, ის უნდა თავიდან მოიშოროს. პირდაპირ არ ითხოვს, რადგან იცის, რომ ქარგალს თავისას მოითხოვს. (ესე იგი სამი თვის ჯამაგირს) და სამაგიეროთ საქმეს ნაკლებს აძლევს, რომ იძულებული გახდეს ქარგალი მაატოვებიოს სამუშაო. ტერ-პეტროსიანს ჰყავს ერთი ნოქარი, რომელიც დაქოთბას როლსაც ასრულებს. ეს ვაჟბატონიც არა ნაკლებ ავიწროებს ქარგლებს. ერთხელ ქარგლებმა განიზრახეს კიდეც გაფიცვით მოეშორებიათ ეს ნოქარი, მაგრამ მისი ცოლ-შვილი შეეცოდათ და თავი გაანებეს მხოლოდ დარიგება მისცეს, მაგრამ ეს ხაზეინის ლაქია მაინც თავისას არ იშლის.

**სკვინჩა.**

—

**თფილისის დეპო.** თფილისის დეპოს მუშა ხელოსნები, როგორც სხვა მუშები წინეთ დიდ გაჭირვებაში იყვნენ: მუშაობდენ დილის 5 ნახ. საათიდან ღამის 9 საათამდი და იშვიათათ ექვსამდი. თუმცა წესით 6 საათამდი უნდა ემუშავათ, მაგრამ როცა ცხრა საათის სამუშაო დღე შემოიღეს აქაც, მუშაობდენ დილის 5 ნახ. საათიდან 7 საათამდი, თუმცა ნორმალური სამუშაო დრო იყო დილის 5 ნახ. საათ. 3 საათამდი. ჯამაგირიც, რასაკვირველია გაფიცვების და ბრძოლის შემწეობით ცოტათ თუ ბევრათ მაინც გაიუმჯობესეს. წინეთ ღებულობდენ 50 კ. და შემდეგ 80 კაპ. 17 ოქტომბრის შემდეგ მუშები შეუდგნენ მათი დამღუპველი ზედმეტი მუშაობის (сверхурочная работа) მოსპობას; რაც ამხანაგთა სოლიდარობით იქმნა სისრულეში მოყვანილი. ამ სიკეთეს სხვა ბევრი სიკეთეებიც მოყვა: მოისპო ქურდობა, მოისპო სიმთვრალე და სხვა; რაც ხშირი მოვლენა იყო დეპოში. არა ერთხელ და ორჯელ დაიბარეს ტიაგის უფროსი თვითონ მუშებმა, წარუდგინეს მას სხვა და სხვა მოთხოვნილებები, მათ შორის ჯამაგირის მომატება, რაზედაც უფროსი პირდებოდა, იანვარში ყველას მოგემატებათო; მარა ეს დაპირება, როგორც შეეფერება უფროსებს არ აასრულა. საუკეთესო ამხანაგები სრულებით გამოყარა ქუჩაში. წინეთ თუ მუშაობდენ 9 საათს დღეში—ახლა ამუშავებენ 13 საათს, რის გამო არც ერთ მუშას ადამიანის ფერი არა აქვს და მუდამ მაზუთშია გასვრილი. მუშათა დათხოვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დეპოს უფროსს ფონნაბოკს, რომელმაც დეკემბრის გაფიცვებში ჟანდრმებს ქეჩა გაუმართა თავის ხარჯზე. ეს ვაჟბატონი თავსაც არ იწუხებს მუშების დათხოვნის მიზეზის ასახსნელათ და პირდაპირ ეუბნება მათ: შენ საიმედო კაცი არა ხარ, და ვერ მიგიღებთ, ან შენი ფიზიონომია არ მომწონსო. ამ ნაჩალნიკს მუშებში ჩუმი თანაშემწეები ჰყავს. საჭიროა არის მოიგონონ ამ მუშებმა, რას ითხოვდენ ისინი ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, რა პირობებში იყვნენ მაშინ და რა პირობებში არიან დღეს. ჯობს ახლავე დაუფიქრდენ თავის ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება.

**დეპო.**

—

**ნაწამები კონდუქტორის წერილი.** ხუთმეტი წელიწადი ვმსახურობდი ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. 1902 წელს 29 დეკემბერს, ს. მცხეთაში მატარებლიდან ჩამოვვარდი და ხერხემალი ისე ვიღრძე, რომ მოძრაობა შემეკრა. ექიმ ფედოროვის შემწეობით საავათმყოფოში მომათავსეს. გამსინჯა ექიმთა კრებამ და აღმოჩნდა, რომ ხერხემალი მძიმეთ დაშავებული მქონდა. ექიმებმა ეს სიმთვრალის დროს გალახვას მაწერეს.

ერთხელ სადუმლო კომისიამ საავადმყოფო გაშინჯა, რომ იქ ტყვილი ავადმყოფები აღმოეჩინათ. ჯერი ჩემზედ მოდგა. წამამაყენეს, თავისთავათ ვერ ვდგებოდი, წელს ვერ ვძრავდი; თავი საშინლათ მტკიოდა. როდესაც ექ. მიხეილ გედევანიშვილს შეეკითხენ ჩემი ავადმყოფობის მიზეზს, (იმის ხელში ვიყავ.) მან განაცხადა: თუმცა სისხლის დენა ქონდა ხერხემალზე, მაგრამ მოვარჩინე, ახლა აღარაფერი სტკივა, და ამ ტკივილს არავითარი კავშირი არ აქვს იმ შემთხვევასთან, რასაც ეს ასახელებსო! აქ უნდა შევნიშნო, რომ გედევანიშვილს ჩემთვის არავითარი წამალი არ მიუცია და ნეტა რით მომარჩინა? მერე მომათავსეს ხირურგ მარკიევიჩთან. ეს ლმობიერათ მომეპყრა და ცდილობდა ჩემი ტკივილების შემსუბუქებას, მარა ტკივილი უფრო მემატებოდა. ყოველ შეტაკებაზე ვევიროდი, ამათ ავადმყოფებს ვაწუხებდი და მათ მოითხოვეს ჩემი სხვაგან გადაყვანა. მეოთხეჯერ მამიწვიეს ექიმთა კრებაზე შესამოწმებლათ. აქ ასეთ სურათს შევესწარი: ერთს გორის მაზრის მცხოვრებს, რკინის გზის ყოფილ მუშას მკლავი ქონდა მოწყვეტილი, მას ელაპარაკებოდნენ:—ჩვენ მოგარჩინეთ, როგორც კი შეიძლებოდა, ეხლა სოფლური წამლებით იწამლე ერთ წლამდის, მერე მოდი, გაგშინჯავთ როგორ იქნები, და მაშინ თორმეტ თუმანს მოგცემთო. საბრალო მუშა ტირილით წავიდა. საწყალს ერთი წლით სოფლის წამლობას ურჩევდენ იმისთვის, რომ დრო დაკარგოდა და საქმე ვეღარ განესაჩივრებინა. რიგი ჩემზე მოდგა. უფროსმა ექიმმა დაიწყო:—ბატონებო! თუმცა მთავრობისაგან დამტკიცებულია ყოველმა მოსამსახურემ ისარგებლოს ნამსახურობის ფულით, „პოსობიით", მაგრამ, ჩვენ, ექიმებმა მთელი ძალა უნდა ვიხმაროთ, მომეტებულათ ამ ძველ მოსამსახურეებზე (ცხვირი ჩემკენ მოიშვირა) რომ ვეღარ ისარგებლონ ამ ფულით, ვინაიდან ამათგან დიდი ხარჯი მოსდის რკინის გზას, ამის გამო უფროსებ საგანაც დიდ საყვედურს ვღებულობთო. ყველა ექიმებმა თანხმობის ნიშნათ თავი დაიქნიეს. შემდეგ შეუდგენ ჩემ გაშინჯვას. დამეხვივნენ, მასხარათ მიგდებდენ, დამცინოდენ და ხარხარებდენ. ზოგი თავზე მეჭიდებოდა, ზოგი ფეხზე და ზოგი ბეჭებს მიშინჯავდა. ჩემ ადამიანურ ღირსებას და თავმოყვარეობას ფეხ ქვეშ ქელავდენ. ერთმა ამ ბარბაროს ექიმთაგანმა ხერხემალზე ისე დამკრა ხელი, რომ ტვინში ტყვიასავით მომხვდა ტკივილი. როცა ამდენი წამების შემდეგ წამოსვლის დროს შევეკითხე, რა დასკვნას დაადგენ ჩემი ავადმყოფობის შესახებ მასხრული ხარხარით მიპასუხეს... მივმართე ოლქის სასამართლოს იქ ბედმა გამიღიმა, ავადმყოფათ მიცნეს, საქმე მოვიგე; მაგრამ რკინის გზის ვექილებმა განასაჩივრეს პალატაში. იქაც საქმე მოვიგე. ახლა სხვადასხვა აბლაკატები დამეხვიენ მარწმუნებდენ რკინის გზა სენატში განასაჩივრებს და იქ კი უთუოთ წააგებს და თუ ამდენ და ამდენ პროცენტს მოგვცემთ, მოგარიგებთ რკ. გზ. ვექილებთანო გამაბრიყვეს. მივმართე რკინის გზის ვექილს „მოამბის" რედაქტორს, ა. ჭუონიას; ავუხსენი ჩემი გაჭირვება, ვთხოვე: ნუღარ განასაჩივრებთ, მიმადებინეთ ჩემი დაკარგული ჯანის ფასი მეთქი. მან დამცინავი სახით მიპასუხა: ვიცი როგორი ჯან დაკარგულიც ხარ; გიცნობთ ყველას!.. თუ გინდა, რომ სენატში აღარ განვასაჩივრო და იქ არ წააგო თუმანზე მეტი მე მიწილადე და ფულს მაგაღებიებო უამისოთ კი, სანამ სასამართლო არ გვაიძულებს, ვერაფერს ეღირსებით. ასე ურცხვათ მოითხოვა ჩემგან ქრთამი ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ. როგორც იქნა ყველა ამ სულთამხუთავებს კლანჭებიდან დავუძვერი, პატივცემულ ზ. ი. როხლინის შემწეობით და როგორც იყო საქმე მოვაგვარე.

სახალხო მატარებლის ყოფილი კონდუქტორი **იროდიონ ოქრუაშვილი**

---

**ალავერდის** „სამეტალურგიო საზოგადოების" ქარხნების გამგეობას დაუთხოვნია ყველა ძველი მუშები, ნოემბრის გაფიცვის გამო, და მათ ალაგზე ყველა ახალი მუშები მიუღიათ, უმეტესობა თათრები. გაუდიდებიათ სამუშაო დღე და ხელფასიც დაუკლიათ. ამასთანავე ძალიან თვალ-ყურს ადევნებენ თურმე, რომ ძველი მუშები არ მოხვდეს ახლებში, რათა მუშებში შეგნება არ შეიტანონო.

დაითხოვეს, თუმცა სულ სხვა მიზეზების გამო, აგრეთვე მუშების მტერი კარგათ ცნობილი ბ-ნი კოლა ებრალიძე. ეს ვაჟბატონი ძალიან დახელოვნებული იყო მუშების ცემა-ტყეპაში და ძარცვაში კაპიტალისტების სასარგებლოთ. ქარხნის გამგეობა შესაფერს პატივს ცემდა მას, მაგრამ ეხლა კი ის რაღაც ყალბ ანგარიშების შედგენაში შეუმჩნევიათ და ამის გამო დაუთხოვნიათ. **ყოფილი.**

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** კლერიკალ გლეხთა აჯანყება. როგორც „ფორვერტს" პარიჟიდან საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს საფრანგეთში ზოგიერთ დეპარტამენტებში კლერიკალ გლეხთა ამბოხება თან და თან იზრდება. ბევრ სოფელში მღვდლები ხალხს „წმიდა ომს" უქადაგებენ. გზა-ტკეცილებზე მოჭრილი ხეები ყრია და გზები შეკრულია. თავის ორთითებით და თოფებით შეიარაღებული გლეხები გზებზე ყარაულობენ და უცხოს არავის არ ატარებენ. თვით პარიჟიდან „ბრძოლის ველზე" გაგზავნილ ჟურნალისტებსაც კი არ ატარებენ, უკეთუ მათ მღვდლებთან სარეკომენდაციო წერილი თან არ ექნებათ! ბევრ ალაგას გლეხები გზა-ტკეცილებზე და ეკლესიის ეზოებში ასაფეთქებელ მინებს ალაგებენ! რაც რამ იარაღი მოეპოებოდათ სულ ერთათ მოუგროვებიათ! პურის საცავი ბეღლები ციხეებათ გადაუქცევიათ. წმ. პავლეს სალოცავს საომარი წესით იცავენ. ეკლესიის ეზოში ბარიკადები არის აშენებული. სამრეკლოში, ეკლესიის შესავალ კარების გასწვრივ თოკზე კიდია უზარმაზარი ქვა, რომელიც ბლოკის საშუალებით მოძრაობაში მოყავთ; უნდათ, როგორც კი „მტრები" ეკლესიის კარებში შევლენ გაუშვან ქვა და მთლათ გაასრესინონ. ეკლესიიდან ფანჯრები ჩამოუღიათ და მათ მაგიერ დიდრონი ქვები დაულაგებიათ; ეზოს კარები ამოქოლილია; სამრეკლოს და ეკლესიის სახურავი მთლათ ახდილი აქვთ—ძველებურ ციხეებათ გადაუქცევიათ; ეკლესიის გარშემო ორ მეტრ ნახევარზე თხრილია გათხრილი „მოსულ" მტრის შესაჩერებლათ.—ზოგიერთ მაზრებში მოხელეებისთვის უცემიათ., ჯარმა ვერ შესძლო მოხელეების დაფარვა, უკანასკნელნი იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ; ერთი ამათგანი კიდევაც დაჭრეს. რასაკვირველია, კლერიკალ გლეხობას წარმოდგენა არა აქვს, თუ მათ მიერ აშენებული სიმაგრეები რა ძალას წარმოადგენენ. მღვდლები ეკლესიებში უსირცხვილოთ ატყუებენ გლეხებს, რომ წარმართდ და ურიულ რესპუბლიკას განზრახვა აქვს სულ ძალათ დახუროს ეკლესიები და აღეკრძალოს წირვა-ლოცვაო. სხვათა შორის, გლეხობას იმასაც ეუბნებიან, რომ მთავრობა სოციალისტებს შეჰპირდა გლეხებს მამულები გამოერთმევა და საერთო მფლობელობაში გადავაო. კლერიკალ გლეხთა უაზრო მოძრაობის მიზეზით ბურჟუაზიის ფლიდი-გარყვნილი პოლიტიკა უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამათი მეოხებით კლერიკალებს დღემდი ხელთ ჰქონდათ სახალხო სასწავლებლები და როგორც უნდოდათ ისე აჩერჩეტებდენ მოზარდე თაობას. მთელ საფრანგეთში 69000 ეკლესიაა, აქედან 25000 უკვე აჯანყებულთა ხელშია, გაზაფხულის მშვენიერი ამინდები და მღვდლების მხურვალე აგიტაცია თანდათან აფართოებს აჯანყებულთა რაოდენობას და იმედი აქვთ, არჩევნებამდე, რომელიც აპრილს შუა რიცხვებში იქნება, საკმარის ძალასაც მოიკრეფენო. აჯანყებულთა მოძრაობას თანაგრძნობით ეკიდებიან, როცა მათ მთავრობა აჯანყების ჩასაქრობათ იწვევს ესენი სამსახურის შესრულებაზე უარს აცხადებენ, რისთვისაც ასე წათამამებული კლერიკალი სამღვდელოება თავიანთ ყურმოჭრილ მონა გლეხებით ამბოხებას აძლიერებენ და ვნახოთ რა იქნება არჩევნებამდის!

---

# დეპეშები

(პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 მარტი.

**პეტერბურგი.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ პუბლიცისტი ანნენსკი ციხიდან გადასასახლებლათ წაიყვანეს. საღამოს 19 მარტს გაზ. „რუსის" დილის ნომრები პოლიციამ დაიჭირა.

**იურიევი.** ყოფილი არეულობის შედეგების გამოსარკვევათ დაარსდა განსაკუთრებული საგუბერნიო კომისია.

**უფა.** ქალაქის არჩევნები მაზრის კომისიამ მოსპო. ხელმეორეთ არჩევნები 21 მარტისთვის არის დანიშნული.

**ნოვოროსისკი.** ღამით ილინსკის-ხაბლში საქონლის მატარებელი დაიმტვრა. სამი მოსამსახურე დაჭრილია და 13 ვაგონი დამსხვრეული. მატარებლის დამსხვრევის მიზეზი ლერძის გატეხაა.

**კიევი.** მესამე ამომრჩევლათ უნივერსიტეტმა აირჩია სამოქალაქო უფლების პროფესორი გულიაევი—კონსერვატორი. არმაშევსკი ეკუთვნის უფლებრივ პარტიას.

**პერმი.** გამოვიდა კადეტების ორგანო „კამსკი კრაი".

**პიატიგორსკი.** გენერალ-გუბერნატორის ნებართვით გამოვიდა გაზ. „პიატიგორსკის ლისტოკი", რედაქტორათ დარჩა კიბარდინი.

**ტემირ-ხან-შურა.** სამსახურიდან დაითხოვეს რეალურ სასწავლებლის დირექტორი კონდრატოვიჩი.

**პეტერბუგი.** სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლებათ კალუგის გუბერნიის თავად-აზნ. აირჩიეს: გუბერნიის წინამძღოლი ბულიჩევი, ყოფილი წინამძღოლი იაწოვი. კიევის უნივერსიტეტიდან—რექტორი ციტოვიჩი—ოქტომბრისტი და პროფესორი არმაშოვსკი; დუმის ამრჩევლათ მემამულეებმა აირჩიეს არგევში—მღვდელი, 2 ერობის უფროსი, 6 აზნაური, 4 პროგრესისტი და ერთი კადეტი, დანარჩენები კონსერვატორებია. ბელცში—თავად-აზნ. წინამძღოლი, სამმართველოს თავმჯდომარე, 3 აზნ. და სამი გლეხი—ყველა კონსერვატორებია; ჩერკასში—99 გლეხი, 4 მღვდ. და 2 მემამულე; კამიშინში—8 გლეხი—ზომიერი პროგრესისტები; სარანსკში—თავად-აზნ. წინამძღოლი, ერობის უფროსი და მღვდელი—ყველა დამოუკიდებელი პროგრესისტია; პავლგრადში—წინამძღოლი, სამოსამართლო პალატის წევრი, მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, გუბერნიის სამმართველოს წევრი, ყოფილი ვიცე-გუბერნატორი, 2 აზნ., 3 მემამულე და ერთი გლეხი, ამათ რიცხვში 2 კადეტია, ოქტომბრისტი 5 და 2 უკიდურესი მემარჯვენე; ხოლმში—ერობის უფროსი—პარტიის გარეშე და 2 გლეხი, ამათ შორის ორი კადეტია და ორი პარტიის გარეშე; ოსტაშოვსკის მაზრაში ხელ ახლა კადეტებმა გაიმარჯვეს. სამაზრო ქალაქებში აირჩიეს ამრჩევლათ—მემარცხენენი. ქალაქებიდან: ხოლმში—სასამართლოს წევრი; ეკატერინოსლავში—80, ამათ შორის 15 ებრაელია, ორი მესამედი ზომიერებია. ქალაქის არჩევნებზე მოსკოვის მაზრაში კადეტებმა და შეერთებულ ორგანიზაციის ოქტომბრისტების და ვაჭრობა-მრეწველობის პარტიის შორის ბრძოლა იყო. კენჭებს ხვალ დათვლიან.

**ინდიანოპოლი.** მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წერილის შემდეგ, რომელიც ითხოვდა სადაო კითხვების გადაჭრამდი გაფიცვის გაგრძლებას, მთა-მადნის მუშებს შორის ნახევარ მილიონამდე ქვანახშირის მუშები გაიფიცა. ფიქრობენ ერთი კვირის შემდეგ იმ რაიონებში, სადაც ხაზეინები დაეთანხმებიან მუშებს 100,000 მუშა მუშაობას დაიწყებსო.

**გამბურგი.** გამბურგის მეზღვაურების კავშირმა, რომლის წევრები 2000 კაცამდე ადის, გადაწყვიტა ხვალიდან გაფიცვა. ხვალ საღამოს ნავთსადგურის ყველა მუშების კრება იქნება.

**განოვერი.** მეტალურგიული ზაოდის 12000 მუშა გაიფიცა.

**სანტ-ეტიენი.** მთამადნის მუშების კავშირის დელეგატებს მისწერეს, რომ მოითხოვონ ორი ფრანკით სამუშაო ქირის მომატება, ოცდახუთი წლის სამსახურის შემდეგ პენსიის დანიშვნა, რვა საათის სამუშაო დღე და პრემიის გაუქმება. თუ მთამადნის მწარმოებლები ყველა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, 23 მარტს მუშაობას შეწყვეტენ.

20 მარტი.

**პიტერმარცბურგი.** ყველა 12 ადგილობრივი მცხოვრები, რომლებმაც პოლიციის ინსპექტორი მოკლეს, დახვრიტეს.

**თემირხანშურა.** ღამით როცა რეალური სასწავლებლის ინსპექტორი სახლში ბრუნდებოდა, ვიღამაც გოგირდის სიმჟავე გადაასხა. თვალი არ გაფუჭებია. დამნაშავე მიიმალა.

**სუმი.** დილას გაიგეს, რომ ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების აფეთქება უნდოდათ. ყუმბარა ფეჩზე შემოედვათ, პატრუქის ბოლი შვეიცარს შეუმჩნევია. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

**ბერდიჩევი.** შაპიროს გამძარცველების ხელმძღვანელი აღმოაჩინეს, ადგილობრივი პირველი გილდის ვაჭრის შეინიბორგის შვილები ყოფილა.

**მოსკოვი.** მუშების ამრჩევლების წინასწარ კრებაზე, მოსკოვში, ვინაიდან ბოქაული დაესწრო ამისათვის მუშებმა ოქმი შეადგინეს და განაცხადეს, რომ პოლიციის თანადასწრებით ჩვენ ვერ ვიმსჯელებთო და კრება მოსპეს. გრადონაჩალნიკმა მბეჭდავების კრება აკრძალა, და ამასთანავე აკრძალა უქმი დღეების დასვენების შესახებ კრებაც.

**პეტერბურგი.** გაზ. „რუსკოე გოსუდარსტვოს" სიტყვით ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოს აზრათ აქვს სახელმწიფო დუმაში შეიტანოს ორი პროექტი. ფოსტა-ტელეგრაფის ჩინოვნიკების ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების და ორ მილიონ ნახევარ მანეთით ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯის გადიდების შესახებ, რომ მოსამსახურეები მოუმატონ და პროგრესიულათ ჯამაგირების მომატება ყოველ ხუთ წელიწადში და ამასთანავე ორი მილიონი მანათის გადიდება დაბალი მოსამსახურეებისათვის. დღეს სატახტო ქალაქის ქუჩებში არა ჩვეულებრივი მოძრაობაა არჩევნების გამო. ყოველი მხრიდან ამრჩევლები მოდიან, პატარ-პატარა ჯგუფებათ მიდიან ამრჩევლები, რომელთაც თეთრი კონვერტი ხელში უჭირავთ. ბევრი მაღაზიები არ გაუღიათ, დილიდან მთავრობის, საზოგადოების და წოდების კანცელარიები ცარიელია, ვინაიდან 66 პროცენტს მოსამსახურეებისას უფლება აქვს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

თავად-აზნ. სახელმწიფო საბჭოში ამრჩევლებათ ყაზანში აირჩიეს ბეკეტოვი და ყოფილი გვარდიის პოლკოვნიკი მოლოსტვოვი. ქალაქის ამრჩევლების სიეზდმა აირჩია იზმაილში გლეხი. კიშინიოვში—80 ამრჩეველი. სამოცდა ათმა პროცენტმა ხმა მისცა. მსხვილ მემამულეების კრებაზე რუსეთის მაზრაში აირჩიეს 5 მემამულე—პოლონელი და ქსენძი; სიზრანში—მემამულე მამასახლისი, ვაჭარი და ჩინოვნიკი; ვერხნედნეპროვის მაზრაში—მაზრის წინამძღოლი და გლეხი, კონსერვატორები და ორი ზომიერი ლიბერალი. სამარაში მუშებისაგან ამრჩევლებათ აირჩიეს ქალაქის წყლის გასაყვანის მოსამსახურე; დონის-როსტოვში—ასოთამწყობი, ზომიერი; იაროსლავში—2 პარტიის გარეშე. ვოლოსტის რწმუნებულების სიეზდმა აირჩია ოლონეცში ვოლოსტ-ს მამასახლისი, გლეხი და ვაჭარი; მოსკოვში—3 პარტიის გარეშე გლეხი; კნიაგინინში—ვოლოსტის მწერალი, ეკლესიის მნათე და სოფლის სტაროსტა,—ყველა ზომიერებია; სარანსკში—4 გლეხი—პარტიის გარეშე; სარაპულში—სამი ვოლოსტის მწერალი, მამასახლისი, ჩინოვნიკი, ორი ერობის ხმოსანი, 9 ვაჭარი, საერობო სკოლის მასწავლებელი, მოლა, ბანკის დირექტორი, უმრავლესობა პარტიის გარეშეა, ორი უკიდურესი; იზმაილში 4 გლეხი, ვაჭარი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, უკანასკნელი პროგრესისტია—დანარჩენები პარტიის გარეშე.

**პეტერბურგი.** აღდგომის დღესასწაულების მოახლოვების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი გაუგზავნა გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებსა და ობერპოლიცმეისტერებს იმის შესახებ, რომ თუ ებრაელების აწიოკება წინდაწინვე არ შეაჩერეთ პირადათ პასუხის მგებელი იქნებითო. ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ ცირკულიარულ განკარგულებაა, რომ მცხოვრებლებს ნუ შეუშლით ხელს პეტერბურგში საჩივრებით მოგვმართონო, მოხელეებმაც თავის მხრით დაუყონებლივ უნდა მიაწოდონ ცნობები. ასეთ საქმეებისთვის დანიშნულია სამინისტროში სამი მოხელე, რომელიც დღითა და ღამით თვალს ადევნებენ ასეთ თხოვნებსა თუ ცნობებს. ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა გამგეობამ აუხსნა პროვინციელ ცენზორებს, რომ ახალი ბეჭდვითი კანონების ძალით, არ შეიძლება სამართალში მიცემა იმ პირების, რომელთაც ცენზორის მიერ ნება დართული წიგნები გამოუციათ ამ კანონების გამოცემამდეო. რაც შეხება იმას, რომ ოდესაში, პეტერბურგში და მოსკოვში იჭერენ ნება დართულ წიგნებს, ამას ადმინისტრაცია ან პროკურატურა ჩადის და მთავარ გამგეობას აქ არაფერი ბრალი არ ედებაო.—გაზეთების ცნობა, რომ საგენტოებმა ნახევარი მილიონი გაფლანგესო, მართალი არ არისო.—პეტერბურგის მაზრის მსხვილ მემამულეებმა აირჩიეს 4 ამრჩეველი, ყველა კადეტი. 23 მარტისთვის შემდეგი კითხვებია გასარჩევი სახელმწიფო საბჭოში 1) 1905 წლის უკაზის გავრცელება ზღვისა და მდინარის გემების დაწესებულებაზე, 2) იმ წესდების პროექტის შესახებ, რომლითაც მემამულეების მუშათა გაფიცვის წინააღმდეგ ზომები იქმნა მიღებული; 3) სახალინზე გადასახადების მოსპობის შესახებ.

არჩევნებმა წყნარათ ჩაიარა. დაახლოვებით გამოანგარიშებით 143194 ამრჩევლების 60 პროცენტზე მეტი მოვიდა.—უნივერსიტეტების დეფიციტის შესამსებათ, რადგანაც სტუდენტები 1905 წ. გაზაფხულზე შესატანი ფულებიდან გაანთავისუფლეს, დამატებით გადმოსცეს 238,000 მან. ქალთა უმაღლეს კურსებს, როგორც კერძო დაწესებულებას, შემწეობაზე უარი უთხრეს. განათლების მინისტრმა აიღო ნებართვა, რომ მოსკოვის უმაღლეს ქალთა კურსებზე გახსნილ იქმნას მედიცინის განყოფილება, იმ უფლებებით, როგორც მედიცინის ფაკულტეტს აქვს განათლების მინისტრს უფლება მისცეს უნივერსიტეტებში მიიღოს საშუალო განათლების ახალგაზდები, თუ გინდ ძველი ენები არ იცოდენ, ოღონდ ლათინურში კი უნდა მისცეს ეგზამენი, თუ დანარჩენში სკოლის პროგრამა გიმნაზიისას უდრის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზამენი ენიშნება იმ საგნებშიც, რომელიც გიმნაზიისას არ უდრის. მინისტრის თავმჯდომარემ ჩერნიგოვის გუბერნატორისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „კლინცაში, ჩემ მიერ მიღებული ზომების წყალობით ებრაელების აკლება არ მოხთა და არც მოხთებაო".

**ლანსი.** წარსულ ღამეს არნში პარიონის სახლი ააფეთქეს. არავინ დაშავებულა, მხოლოდ მატერიალური ზარალია. ფუკერში და არხში გაფიცულებმა ბარიკადები ააგეს, რომელიც კავალერიამ დაანგრია. ერთი გაფიცული დაჭრილია.

**ლონდონი.** გაზ. „ტაიმსი" ალჟესირასის კონფერენციის შესახებ ამბობს, რომ საფრანგეთი და რუსეთი ერთგული მოკავშირეები დარჩნენ. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ კონფერენცია ლანსდორფის და გარდინიცის პოლიტიკას გაამაგრებს, რომელიც არის დამატება საფრანგეთ-რუსეთის კავშირის და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება რუსეთის და ინგლისის დასაახლოვებლათ. გაზ. „დეილი" ამტკიცებს, რომ რუსეთის სესხი ლონდონში თანაგრძნობას მოიპოვებს, ვინაიდგან რუსეთ-ინგლისს შორის პოლიტიკური ანტაგონიზმი შემცირებულია.

(რუსეთის სააგენტო)

20 მარტი.

**ვოლკოვისკი.** სლომინის სატუსაღოდან გაიქცა ოთხი პოლიტიკური დამნაშავე.

**ბორისოვი.** საგლეხო ბანკს სურს შეიძინოს სმოლევიჩის დიდი მამული, რომელიც 50,000 დესეტინაზე მეტია, და გლეხებს მიყიდოს.

**ორიოლი.** დიდ მეშჩანის ქუჩაზე ბარინოვის სახლში აღმოაჩინეს სტამბა. ნახეს საბეჭდავი ასოები და გამზადებული პროკლამაცია სოც.-დემ. მუშათა პარტიისა და თან რევოლვერიც. ბარინოვი და ორი მდგმური დაიჭირეს.

**მოსკოვი.** მოსკოვის მაზრის ქალაქის არჩევნებზე ყველა კონსტიტუციონალისტები გავიდა. მონარქისტებს 72 ხმა ამოუვიდა.

ოლქის სასამართლოში სიტინის საქმე ირჩევა. სიტინმა დამზღვევ საზოგადოებას 662 ათასი მანეთის ზარალი, რომელიც არეულობის დროს ნახა, უჩივლა. მომჩივანის დამცველმა ითხოვა მოწმეების გამოკითხვა. სასამართლომ დაადგინა მოწმეების შეკითხვა.

**ვარშავა.** ელექტრონის კანტორაში სამი შეიარაღებული კაცი შევიდა, მოსამსახურეებს ხელები მაღლა ააწევიეს და ყველა გაჩხრიკეს, წაიღეს ფულები და საათი. ძარცველები მიიმალნენ.

**ოდესა.** ნოვოროსიის უნივერსიტეტიდან სახელმწიფო საბჭოსათვის ამომრჩევლათ აირჩიეს პროფესორი ლანგე, ვერიგო და პეტრიაშვილი, ყველა პროგრესისტებია. კენჭი უყარეს ოც პროფესორს.

**მოსკოვი.** ერგანგენის ამხანაგობის ორთქლის წისქვილი იწვის.

**პოლტავა.** გაზ. „პოლტავშჩინის" რედაქტორს სამი თვით დატუსაღება და 50 მან. ჯარიმა მიუსაჯეს პორუჩიკი ნიკიტინის ბოიკოტის მოწოდების დაბეჭდვისათვის.

**ასხაბადი.** ტაშკენტიდან ასხაბათში მიმავალ საფოსტო მატარებელს დაეცნენ. მძარცველებმა მოკლეს ორი ფოსტის ჩინოვნიკი. ფულები წაიღეს და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** გაზ. „სვეტი" იტყობინება, რომ გრაფ ვიტტეს ავადმყოფობა გამოწვეულია იმ არა ნორმალური ცხოვრებით, რომელსაც ის ეწევა. არის ისეთი დღეები, რომ გრაფი ოც საათს მუშაობს დღე-ღამეში და მხოლოდ გათენებისას იძინებს. ათ საათზე გრაფი ფეხზე დგას. ყოველი მხრიდან მას საჩივრები ესმის და ამ საჩივრებს, როგორც ამბობენ, ცუდი გავლენა აქვს მის ჯანმრთელობაზე; საძნელოა აგრეთვე მისთვის სხვა და სხვა დეპუტატების მიღება. დღე და ღამის განმავლობაში ბევრი საქმეები უგროვდება და გრაფი ყველას განსაკუთრებულ უბის წიგნში იწერს. ამბობენ, რომ გრაფმა ამ დღეებში მაგილიოვიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სთხოვდნენ, რომ რაიმე ზომები მიეღო ებრაელების დარბევის თავიდან ასაცილებლათ. ვიტტე დღისით გააფიწყდა ამის შესახებ განკარგულების მოხდენა და როცა დასაძინებლათ დაწვა, გაახსენდა და იმწამსვე ტელეფონით განკარგულება მოახდინა. ექიმების აზრით მინისტრს უნდა ხანგრძლივი დასვენება.

გუშინ პეტერბურგის გუბერნიის ყველა მუშების, გარდა პეტერბურგისა, რწმუნებულების ამომრჩევლების არჩევნები მოხდა. რწმუნებულები 72 იყო, უნდა აერჩიათ 9 კაცი, აირჩიეს 8, ერთსაც დღეს აირჩევენ.

პეტერგოფში, ორიენბაუმში და სტრელნაში ამრჩევლების არჩევნები იყო. კონსტიტუციონალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

---

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე.**

ტფილისი, ელისაბეტის ქუჩა, სტამბა კ. თავართქილაძისა, № 17.